MES 0 21 0000274694

23/03/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 09.03.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:55სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (I, II, IV საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (III საკითხი)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (III, IV საკითხი)
საბჭოს მდივანი: ელიზბარ ელიზბარაშვილი (I, II საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

4. ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

5. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

8. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

10. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი,

ა ს ო ც ი რ ე ბ უ ლ ი პ რ ო ფ ე ს ო რ ი ;

11. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

12. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;

13. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

14. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

15. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

16. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

17. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

18. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა გრძელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
2	თამარ ზარანდია		იურიდიული ფაკულტეტის დეკანი	I, II
3	ირინე ქურდაძე		საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი	I, II
4	გიორგი მახარობლიშვილი			I, II

		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
5	დავით ბოსტოღანაშვილი		იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	I, II
6	მორის შალიკაშვილი		ასოცირებული პროფესორი	I, II
7	ელზა ჩაჩანიძე		იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	I, II
8	მაია ბითაძე		ასოცირებული პროფესორი	I, II
9	დავით პატარაია		პროფესორი	I, II
10	კონსტანტინე კორკელია		პროფესორი	I, II
11	ეკა სირაძე		ასოცირებული პროფესორი	I, II
12	მარიამ კევლიშვილი		ასოცირებული პროფესორი	I, II
13	ნინო რუხაძე		ასისტენტ-პროფესორი	I, II
14	თამარ ალექსიძე		ასისტენტი	I, II
15	ნანა მჭედლიძე		ასისტენტი	I, II
16	ირმა ხარშილაძე		პროფესორი	I, II
17	მაია კოპალეიშვილი		პროფესორი	I, II
18	ნათია კალანდარიშვილი-მიულერი		მოწვეული ლექტორი	I, II
19	ხათუნა თოთლაძე		მოწვეული ლექტორი	I, II
20	დავით გეფერიძე		მოწვეული ლექტორი	I, II
21	ირინე ბართაია		მოწვეული ლექტორი	I, II
22	ნაილა ჩელებაძე		პრორექტორი	III
23	ელზა ფუტკარაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	III
24	თემურ ტუნაძე		ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	III
25	ია შალამბერიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
26	მზია შავაძე		პროგრამის თანახელმძღვანელი	III
27	რაჟდენ ფუტკარაძე		პროგრამის განმახორციელებელი	III
28	დავით სამნიძე		პროგრამის განმახორციელებელი	III
29	გოგიტა მშვენიერაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	III
30	დავით ჩერქეზიშვილი		რექტორი	IV
31	მაკა კარტოზია		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
32	დავით ბოსტოღანაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
33	ზვიად როგავა		დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	IV
34	ზუხრა მახცაბერიძე		დეკანის მოადგილე	IV
35	თეა იმედაძე		ვიცე-რექტორი ადმინისტრაციულ საკითხებში	IV
36	ქეთევან აფთარაშვილი		განათლების დეპარტამენტის უფროსი	IV

37	ეკა ლუაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ქეთევან ცხადაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, IV
4	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ნინო ლიპარტია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	მარიამ ხუროშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	ირინე ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	23.09.2011 გადაწყვეტილება №54
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	სამართალი 0421 Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზირი, №3, თბილისი, კორპუსი №2, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - მარიამ შენგელიამ, ნინო ჭალაგანიძემ, გიორგი ღაღანიძემ, თეონა მატარაძემ და ნინო ინასარიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან ჯაყელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრები გახლდნენ: ლევან ჯაყელი (თავმჯდომარე), ქეთევან ცხადაძე და ქეთევან ჩეკურიშვილი. ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 11 და 12 თებერვალს. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. შესრულდა ყველა დაგეგმილი აქტივობა, ექსპერტთა მოთხოვნით დამატებით განხორციელდა ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელთან, ირინე ქურდაძესთან. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ვიზიტის განხორციელებაში, რადგან არანაირ გაუთვალისწინებელ/ხელისშემშლელ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა უნივერსიტეტში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რადგან საქმე ეხება, სპეციფიკურ საერთაშორისო სამართლის მიმართულებას, სადაც საბაკალავრო საფეხურის გათვალისწინებით ძალიან მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევითი პროექტების ინტერნაციონალიზაცია, საიმიტაციო სასამართლო პროცესების ორგანიზება/მონაწილეობა და შესაბამის აქტივობებში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა.

„საერთაშორისო სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მისი თქმით, აღნიშნული ვიზიტი ერთგვარი გაგრძელებაა წინა ვიზიტის, რომელიც განხორციელდა რამდენიმე თვის წინ, „სამართლის“ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, შესაბამისად შეფასება ინსტიტუციურ ნაწილში ექსპერტთათვის უკვე ცნობილი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

2.3. სტანდარტთან მიმართებაში - საერთაშორისო სამართლის მოდულის სავალდებულო კომპონენტის „მართლმსაჯულების საერთაშორისო ინსტიტუტები და სასამართლო პრაქტიკა“ კორექტირება, სასწავლო კურსის სახელწოდების, შინაარსის, მიზნების, შედეგებისა და შესაბამისი აქტივობების მკაფიო თავსებადობის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში წარმოადგინა რჩევებიც, რომელთა გათვალისწინება სასიკეთოდ წაადგება პროგრამას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათი რეკომენდაციები და რჩევები მიმართულია პროგრამის გაძლიერებისკენ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. 2.2. სტანდარტთან მიმართებაში - 1. საერთაშორისო სამართლის მოდულის სავალდებულო კომპონენტის „სახელმწიფო საერთაშორისო სამართალში“ სტუდენტებისთვის მე-7 სემესტრის ნაცვლად სწავლის საწყის ეტაპზე შეთავაზება და შესაბამისად მისი წინაპირობის კორექტირება;

2. 5-ის ჯერად საკრედიტო სისტემის სიღრმისეული და სათანადო დასაბუთება ან სასწავლო კომპონენტების თავისებურებების და დატვირთვის მიხედვით მათი

საკრედიტო მოცულობის ინდივიდუალიზაცია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კრედიტების გაანგარიშების მარეგულირებელი, თუნდაც სარეკომენდაციო მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს დაწესებულების პერსონალს შორის საკრედიტო სისტემის მიმართ სხვადასხვა ხედვებისა და გამოყენების აღმოფხვრას და მონიტორინგის/შეფასების ეფექტური ინსტრუმენტის შექმნას;

3. ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სტუდენტების ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად ინდივიდუალური პროგრამების შედგენის არსებული პრაქტიკის წესების სახით მკაფიოდ და ცხადად ჩამოყალიბება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
4. 2.6. სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, უსდ-ში შემუშავდეს მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, გასაჩივრებული გამოცდის შეფასება გამჭვირვალე იქნება, მაგ. ნაშრომს შეაფასებს სხვა პერსონალი სტუდენტის ანონიმურობის დაცვით.
1. 3.1. სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთათვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებები, მაგალითად, სასწავლო პორტალზე, lms.tsu.ge, პირად პროფილზე შეტყობინებების სახით გაუგზავნოს ინფორმაცია პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო მასალების, საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და ყველა ის სიახლე, რომელიც დაკავშირებული იქნება ფაკულტეტთან და პროგრამასთან.
5. 4.3. სტანდარტთან მიმართებაში - 1. სასურველია, გაიზარდოს ქართულენოვანი სასწავლო წყაროების წილი საერთაშორისო სამართლის სასწავლო კურსებში. 2. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ირმა გრძელიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობისთვის, ვიზიტისთვის, რომელმაც ჩაიარა კეთილგანწყობილ გარემოში, ეს იყო მეორე ვიზიტი აღნიშნულ ფაკულტეტზე სამართლის მიმართულებით და ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს პროგრამები უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათია. მისი მოსაზრებით, აღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტები არიან საუკეთესოები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მისი თქმით, პროგრამის ხელმძღვანელი ისაუბრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ხოლო რჩევები დაწესებულებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამის გაუმჯობესებისკენაა მიმართული და დაწესებულების წარმომადგენლები აუცილებლად განიხილავენ.
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, თამარ ზარანდია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული მუშაობისთვის. მან განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა არის უნიკალური, რადგან 1990 წლიდან ხორციელდება და უკავშირდება აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელს. თავდაპირველად აღნიშნული პროგრამა არსებობდა, ცალკე ფაკულტეტზე, ახლა კი იურიდიული ფაკულტეტის „ქოლგის ქვეშ“ არის და ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ, არის ძალიან მოთხოვნადი პროგრამა, გაზარდეს სტუდენტების რაოდენობა საბაკალავრო პროგრამაზე, 40-დან 80 სტუდენტამდე. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, მეორე კორპუსი განახლდა და პანდემიის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ექნებათ თანამედროვე სივრცეში სწავლის შესაძლებლობა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროგრამის აკადემიური გუნდი, ლევან ალექსიძე ბოლო დღემდე იყო პროგრამის ხელმძღვანელი, ახლა კი საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა ხელმძღვანელად აირჩია ირინე ქურდაძე, რომელიც არის პროგრამის ხელმძღვანელი. „საერთაშორისო სამართლისა“ და „სამართლის“ აკადემიური გუნდი არის საუკეთესო, ეს არის ის ხალხი, ვინც უშუალოდ ქმნის ქართულ იურისპრუდენციას, რაც აისახება სტუდენტების წარმატებაზე, დასაქმების მაჩვენებელზე, იმიტირებულ პროცესებზე, რომლებზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა, მაგ., Philip C. Jessup International Law Moot Court Competition, Telders International Law Moot Court Competition, ნიურნბერგის საერთაშორისო სისხლის სამართლის იმიტირებული პროცესი, ჟან პიქტეს სახ. შეჯიბრი სჰს-ში, და სხვა, მათი სტუდენტები წარმატებულები არიან არამხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. განსახილველი პრობლემა არის ზემოაღნიშნული აკადემიური გუნდის მუშაობის შედეგი, რადგან შექმნილია თითოეული მათგანის ჩართულობით და ჩადებულია დიდი შრომა ამ სახით წარდგენისათვის. ასევე, ფაკულტეტზე ჩატარდა რამდენიმე განმავითარებელი შეფასება, კოლეგიალური შეფასება, რომელთა შედეგები პროგრამის გაუმჯობესებისათვის იქნა გამოყენებული.
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროგრამების ხელმძღვანელი, ირინე ქურდაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ცენტრსა და ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი, რადგან კეთდება პროგრამის შეფასება/შემოწმება.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ეამაყება და მათთვის გამოწვევაა, რადგან ლევან ალექსიძის გარეშე პირველად გამოიტანეს აკრედიტაციაზე, 2011 წელს განხორციელდა წინა აკრედიტაცია და ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მოსამზადებლად სამართლის ფაკულტეტი და

განსაკუთრებით საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის აკადემიური/მოწვეულ პედაგოგები, დამსაქმებლები და სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში, რამაც განაპირობა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების გადმოსახედიდან განსახილველი პროგრამა პასუხობს გამოწვევებს, დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რჩევები და განახორციელეს გარკვეული ცვლილებები. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფისგან მიღებული რეკომენდაცია ამ ცვლილებებსაც უკავშირდება, ვინაიდან განსახილველი პროგრამა ერთადერთია საქართველოში და მხოლოდ აღნიშნული დაწესებულება უშვებს საერთაშორისო სამართლის ბაკალავრებს და კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში ცალკე გამოიყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა, რისთვისაც დაწესებულება სახელმწიფოსთან/სამინისტროსთან მუშაობდა.
მან განმარტა, რომ დეტალურად ხდება საერთაშორისო სამართლის შესწავლა, რასაც ემსახურება, როგორც სავალდებულო საგნების სიმრავლე, ასევე არჩევითი საგნების მრავალფეროვნება წინა პროგრამასთან შედარებით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვისაც მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, მათ არგუმენტირებულ პოზიციაშიც დაწერეს, რომ გარკვეულწილად ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან კითხვა გაჩნდა ვიზიტის დროსაც და პროგრამის ხელმძღვანელი ესაუბრა მათ ამ საგნის ისტორიაზე, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები შესაბამისი კვალიფიკაციით, ცოდნითა და უნარებით რომ იყვნენ აღჭურვილი სიღრმისეულად უნდა შეისწავლონ რამდენიმე სასწავლო კურსი, ეს არის ოთხნაწილიანი სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავს „შესავალს საერთაშორისო სამართალში“, „საერთაშორისო სამართლის დარგები“, „მართლმსაჯულების საერთაშორისო ინსტიტუტები და სასამართლო პრაქტიკა“ და „საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკა და საქართველო“, რადგან დაწესებულების წარმომადგენლები თვლიან, რომ სწორედ საქართველოს მაგალითზე უნდა შეისწავლონ დარგი, რათა სტუდენტებს სწორად ესმოდეთ რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა და როგორ შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო სამართალი, როგორც ინსტრუმენტი. რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლებმა არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროგრამის მიზანია ის თეორიული ცოდნა, რასაც შეისწავლის და მიეწოდება სტუდენტს, ე.წ Case-law მაგალითზე შეისწავლოს და გაიღრმაოს ცოდნა, რეალურად სწავლა მიმდინარეობს თუ როგორია პრაქტიკა, საერთაშორისო და რიგ შემთხვევებში ცალკეული სახელმწიფო სასამართლო/კვაზი სასამართლო დაწესებულებებში, ამგვარად, დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სასწავლო კურსის მიზნები შეესაბამება დარგობრივ მოთხოვნებსა და პროგრამის მიზნებს, ხოლო რაც შეეხება სახელწოდებას დაწესებულების წარმომადგენლებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მოხდება სტუდენტისთვის იმის დაზუსტება, თუ რა არის სასწავლო კურსის მიზანი.
14:14 საათზე საბჭოს შემოუერთდა ელიზბარ ელიზბარაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს კარგი პროგრამის წარდგენისათვის და ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. მან განაცხადა, რომ პროგრამა სრულყოფილად და კარგად არის წარდგენილი, რომელიც გაწერილია ამ დარგის საკმაოდ ცნობილი მეცნიერებისა და აკადემიური პერსონალის მიერ, შესაბამისად, წარმოუდგენელი იყო სხვანაირად ყოფილიყო პროგრამა.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან, ირინე ქურდაძესთან და იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, დავით ბოსტოღანაშვილთან ერთად იყო დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო წევრი, მაშინაც და ახლაც ჰქონდათ საინტერესო მსჯელობა. მან განმარტა, რომ დარგობრივი მახასიათებლის ჩანაწერის მიხედვით, იგი არეგულირებს „სამართლის“ საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამებს, ამიტომ თეორიულად, შესაძლებელია აღნიშნული პროგრამა არ ყოფილიყო „სამართლის“ დარგობრივი მახასიათებლის „ქუდის ქვეშ“ მოაზრებული, რადგან იქ არ წერია „საერთაშორისო სამართალის“ და წერია „სამართლის“ დარგობრივი, ეს ორი კი ჩარჩოს მიხედვით განსხვავებულია. საბჭოს წევრს არ უნდოდა ეთქვა, რომ არ უნდა შეესაბამებოდეს, არამედ პირიქით, მისი მოსაზრებით, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს, რადგან საერთაშორისო სამართალიც ამ სფეროშია და ეს კარგია, თუმცა მეორე მხრივ, თუ დარგობრივ მახასიათებელს სამართალიც და საერთაშორისო სამართალიც უნდა შეესაბამებოდეს, ლოგიკურად, დაახლოებით 180 კრედიტი, რადგან დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით 180 კრედიტი უნდა იყოს ფუძე და არის სამართლის ნაწილი და

დანარჩენი გაძლიერებული საერთაშორისო სამართლის მიმართულებაა და ინსტიტუციას ამ მხრივ პრობლემა არ აქვს, პირიქით ეს მისასალმებელია, თუმცა დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, თუ სააკრედიტაციო განაცხადს შეიტანს სხვა უნივერსიტეტი და იქ პირდაპირ არ ეწერება, რომ საერთაშორისო სამართალი არ არის ამ სამართლის დარგობრივი მახასიათებლების „ქუდ ქვეშ“, შესაძლებელია საბჭო დადგეს კაზუსური მგომარეობის წინ და შესაძლებელია სხვანაირად მოხდეს, ამ შემთხვევაში გუნდმა დაინახა, რომ სამართლის „ქუდის ქვეშ“ არის და საერთაშორისო სამართალი გაძლიერებულია, როგორც ძირითად, ასევე არჩევით კომპონენტებში. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ დარგობრივ მახასიათებელში სამაგისტრო სწავლებაზე ჩაშლილია არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის, არამედ სისხლის, სამოქალაქო და ა.შ. უფრო ვიწრო სპეციალობაზეც გადის. იგი დაინტერესდა საბაკალავროს ვიწრო მიმართულებაზე გასვლის კუთხით, რაიმე თუ განასხვავებს პროფესიაში შესვლის მიზნებისათვის „სამართლისა“ და „საერთაშორისო სამართლის“ კურსდამთავრებულებს, მაგ., დასაქმების ბაზარზე თუ ექნებათ რაიმე სხვადასხვა განხრით დასაქმების შესაძლებლობა, რადგან ორივე პროგრამა სხვადასხვა მიმართულებაზე გადის.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან მადლობა გადაუხადა კარგი შედეგებისა და შეფასებისთვის. იგი დაინტერესდა თუ რითი იყო განპირობებული კრედიტების უნიფიცირება, რადგან თავიდან, როდესაც სააკრედიტაციო სისტემა შემოვიდა მაშინდელი პრაქტიკაა 5 კრედიტიანი სისტემა.

საბჭოს წევრმა კითხვა დასვა კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებითაც. მან განაცხადა, რომ მასში მასტერის, ანუ განმტკიცების სტატუსი მხოლოდ რეპეტიტორიუმისთვის აქვთ მინიჭებული და რატომ მოხდა ასე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შრომის ბაზრის ანალიზთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა მთელი რიგი დოკუმენტაციები, სადაც იყო დასაქმების ბაზრის კვლევა, დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნის ანალიზი და ა.შ. ანგარიშში მითითებულია 2018 წლის იანვარს საჯარო ინსტიტუციების, კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა და სხვა. გარდა ამისა გაგზავნილი იყო 2019 წელს კურსდამთავრებულთა ანგარიში, სადაც მინიშნებულია პრიორიტეტები, საინფორმაციო ბანკის შექმნა, კოორდინაციის გაღრმავება და ა.შ. საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესდა ხომ არ გაკეთებულა შრომის ბაზრის ანალიზი 2020 წელზე.

მან განაცხადა, რომ დაწესებულებას დანართი 11-ში წარდგენილი აქვს დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა, დაინტერესდა დაწესებულებას თუ გამოუყენებია აღნიშნული კითხვარი, კვლევებში თუ არის წარდგენილი შედეგი, რადგან მას არ შეხვდა.

მისი შემდეგი კითხვა ეხებოდა სამი სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსს: „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“, „შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში“, „შესავალი საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით“, მისი თქმით, სამივე კურსის სილაბუსში სწავლა-სწავლების ნაწილში აქტივობების ნაწილში მითითებულია პროექტების შემუშავება და პრეზენტაცია, სწავლის შედეგებშიც არის მითითებული პროექტების შემუშავება და იურიდიული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით გარკვეული უნარების ჩამოყალიბება, თუმცა სილაბუსში კვირობრივ/თემატურ განაწილებაში არსად წერია პროექტული ტიპის სამუშაო, მიუხედავად ამისა, არის კაზუსები, თეორიები და ა.შ. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა ტიპის პროექტებზე იყო საუბარი.

მან განაცხადა, რომ მთელი აკადემიური პერსონალის სია, რომელიც დაწესებულებამ წარადგინა, ამასთანავე თანდართულია პირადი საქმეებიც, რადგან მან აღმოაჩინა 2 პირი, რომელთა მაგისტრის დიპლომები წარდგენილია, მოწვეული ლექტორების სტატუსის სიაშიც (ცხრილშიც) მითითებულია, თუმცა არ არის მათი CV-ები, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ზემოაღნიშნული ტექნიკური ხარვეზია თუ ეს ადამიანები ამ ეტაპზე არ არიან მოწვეული ლექტორები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს დასმული კითხვებისათვის. დამსაქმებლებთან დაკავშირებით კითხვაზე მან განაცხადა, რომ დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი არის სარეკომენდაციო ხასიათის, რომელიც დაწესებულებამ შეიმუშავა და ზოგიერთი პროგრამა ამას იყენებს, ზოგიერთები კი სხვა გზას მიმართავენ აღნიშნული ინსტრუმენტის გამოსაყენებლად. უნივერსიტეტში მუშაობს პროგრამული კომიტეტი, რომელიც მოიცავს დამსაქმებელსაც, ეს არის, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულისგან შემდგარი ერთეული, რომელიც იხილავს განვითარებას და ყველა იმ ინსტრუმენტით, რაც კი არსებობს განვითარებაზე ზრუნვას. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ არჩევანი ეს ინსტრუმენტი სხვადასხვაგვარი მექანიზმით წარადგინონ და კვლევები, რომლებიც დაწესებულებას აქვს, 2020 წლის კვლევა შესაძლებელია არ იყო ჯერ ჩატარებული, რადგან ისინი ხორციელდება მას შემდეგ, რაც წელი დასრულდება და დაწესებულებას მიეცემა ყველა ინსტრუმენტის გამოყენების. დამსაქმებლებთან მიმართებით

მუშაობს პროგრამული კომიტეტი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ბაზრის კვლევა, რომელიც როგორც წესი არ კეთდება ყოველწლიურად, კეთდება ეტაპობრივად და ითვალისწინებს და ითვალისწინებს ძირითად ტენდენციებს, რისი უზრუნველსაყოფადაც პროგრამულ კომიტეტში არსებული დამსაქმებლები აქტიურად თანამშრომლობენ, გარდა ამისა პრაქტიკის ობიექტები და ის დამსაქმებლები, რომლებთანაც პროგრამას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

კრედიტების ჯერადთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას ჯერადების სისტემა უმეტესწილად ისევ აქვთ პროგრამებში, რაც მენეჯმენტისთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი, პროგრამის ორგანიზაციული სტრუქტურისთვის, რადგან არის არჩევითი კურსები, თავისუფალი საგნები და ძალიან მოხერხებულია. ყველა პროგრამაა და კურსი, რომელიც შექმნილია, ეს არ არის მხოლოდ ქართული პრაქტიკა, არამედ ცნობილია რომ ძალიან ბევრი ევროპული უნივერსიტეტი მუშაობს ჯერადებით, ეს იქნება 6-ის, 3-ისა და 9-ის. მისი თქმით, ყველა საგანი ისეა აწყობილი, რომ ლიტერატურა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები სწორედ იმ ჯერადების კრედიტებზეა მორგებული, რომელიც ამა თუ იმ კურსს აქვს მინიჭებული, დროდადრო ამის გადახედვა მიმდინარეობს და აღნიშნული პროცესი არ არის მხოლოდ პროგრამული კომიტეტების პრეროგატივა. როგორც დეკანმა ახსენა, აღნიშნულმა პროგრამებმა გაიარა რამდენიმე ტიპის გარე და კოლეგიალური შეფასება, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნულ პროგრამებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით უყურებენ და პროგრამები დროდადრო გადის შეფასებას იმ ინდიკატორების მიხედვით, რაც დაფუძნებულია დაწესებულებაში.

საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, პროგრამების ხელმძღვანელმა, ირინე ქურდაძემ საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ დისკუსია საერთაშორისო სამართლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ახალი არ არის, სამეცნიერო წრეებში, წლების განმავლობაში ღია დისკუსიებზე განსახილველ პროგრამას უწევდა პასუხის გაცემა, რადგან ერთადერთი პროგრამაა, რომელიც საქართველოში ხორციელდება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრაქტიკა დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას აქვს, როდესაც საერთაშორისო სამართლის პროდუქტს ამზადებს კონკრეტული პროგრამით, ამ თემაზე საუბარი იყო დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პროცესშიც და შესაძლებელია დოკუმენტში ზუსტად არ აისახა, მაგრამ კვალიფიკაციების ეროვნულმა ჩარჩომ ჩასვა და გამიჯნა ის რეალობა, რაც უნდა იყოს, რადგან სამართლის „ქოლგის ქვეშ“ არის ორივე მიმართულება მოქცეული „სამართალი“ და „საერთაშორისო სამართალი“, როგორც საბაკალავრო საფეხურზე, სამაგისტრო საფეხურზე კი ასე იყო წლების განმავლობაში და დღესაც ასე დარჩა, შესაბამისად ეს არ არის მხოლოდ დაწესებულების აღქმა, ეს არის დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნა, რომ თუ პროგრამას აქვს პრეტენზია და სურვილი, რომ მიანიჭოს კვალიფიკაცია სამართალში, ის ნამდვილად უნდა პასუხობდეს დარგობრივ დოკუმენტს, სხვაგვარად დაწესებულება კვალიფიკაციაზე ვერ გავა, შესაბამისად, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები პროგრამაზე მუშაობდნენ ითვალისწინებდნენ დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნებს, ჰქონდათ ეს მსჯელობა არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის ძირითად ბირთვს შორის, არამედ სამართლის პროგრამასთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან ერთად და სწორედ ამ მუშაობის შედეგია წარდგენილი, განსახილველი პროგრამა, ამავე დროს დარგობრივმა განსაზღვრა ის მინიმალური კრედიტების რაოდენობა, რაც უნდა გაიაროს სტუდენტმა სავალდებულო პროგრამის კონტექსტში, რომელიც ასევე გათვალისწინებულია პროგრამაში, დაწესებულების წარმომადგენლებმა ის მოთხოვნები, რომლებიც გაწერილია დარგობრივ მახასიათებელში, სამართლის სხვა დარგებთან მიმართებით, ასახულია პროგრამაში და ზედ დაშენებულია საერთაშორისო სამართალი, რომელშიც ასევე განსაზღვრულია სავალდებულო საგნების რაოდენობა, ეს საგნები, როგორც „სასწავლო კურსები“ რადგან, როდესაც ბაზარზე გადის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, შრომის ბაზრის თვალსაზრისით დაწესებულებას მჭიდრო კავშირები აქვს სხვადასხვა უწყებებთან, მათ შორის სახელმწიფო უწყებებთან, რომელთა დაკვეთაა, რომ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები მომზადებულნი იყვნენ არა ზოგადად სამართლის, არამედ საერთაშორისო სამართლის კუთხით, განსხვავებული უნარების მქონე სპეციალისტი გადის: (ა) იმის გამო, რომ ენის კომპონენტი გაძლიერებულად ისწავლება პროგრამაში, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მუშაობის დაწყებისთანავე პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა, დღეს, როდესაც ქვეყანა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებშია ამ დარგის/მიმართულების სპეციალისტებზე მოთხოვნა გაზრდილია ყველა უწყებაში, არ არსებობს სახელმწიფო უწყება, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი არ არის და მათი კურსდამთავრებული ყველაზე მცირე სპეციალისტის დონეზე არ არის დასაქმებული, სამმართველოს/დეპარტამენტების ხელმძღვანელების რანგში, მინისტრის მოადგილეები და სხვა, ეს ბუნებრივი პროცესია, რაც მხოლოდ დაწესებულების ხედვა არ არის და დაკვეთა სახელმწიფოს მხრიდანაც არსებობს. მისი თქმით, საბჭოს წევრს, ანა ფირცხალაშვილსაც ემახსოვრება,

დარგობრივი დოკუმენტის შექმნისას მსჯელობა მიმდინარეობდა, რომ შესაძლებელია სამომავლოდ, თუმცა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, იმ ეტაპზე კი ასე ჩამოყალიბდა, რომ ცალკე დარგობრივი დოკუმენტი „საერთაშორისო სამართლის“ პროგრამის განვითარება თუ იქნება დღის წესრიგში, რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან რა თქმა უნდა ესეც არის შესაძლებლობა, რომ ასეთი განვითარებით წავიდეს, თუმცა ეს სხდომის თემას არ წარმოადგენს.

იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, დავით ბოსტოღანაშვილმა შრომით ბაზართან დაკავშირებით განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევა სისტემატურად ხდება, ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო იურიდიულ ფაკულტეტზე, როდესაც კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ერთად შეიქმნა უშუალოდ მომუშავე ოფისი, რომელსაც ევალებოდა კონკრეტული ინფორმაციის მოძიება. დასაქმების ბაზარი იურიდიული ფაკულტეტისათვის ძალიან დიდია, როგორც ქრონოლოგიურად, ასევე უწყებებისა და კერძო სტრუქტურების თვალსაზრისით, ამიტომ ძალიან რთულია ამის მოკლე დროში კვლევა და წარმოჩენა, ალბათ ამითაა განპირობებული, რომ 2020 წლის მონაცემები არ არის წარდგენილი, რადგან ეს ინფორმაცია სავარაუდოდ დამუშავების პროცესშია.

პროფესორმა, მაია კოპალეიშვილმა საბჭოს შეახსენა საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის მიერ დასმული კითხვა, თუ რამდენად შეიძლება იყოს სტუდენტი ორივე მიმართულებით მოთხოვნადი და შეძლებს თუ არა საქმიანობას ორივე მიმართულებით, რასაც შემდეგ მიება საკითხი უნდა იყოს თუ არა სამართლის „ქუდის ქვეშ“ და შესაძლებელია თუ არა განვითარდეს საერთაშორისო სამართალი. მან განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა. მისი მოსაზრებით, არ უნდა გამოვიდნენ არა იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამა იყოს პროგრამისთვის, არამედ რამდენად მოთხოვნადი იქნება კურსდამთავრებული შრომით ბაზარზე, ამდენად, მხოლოდ საერთაშორისო სამართლის კუთხით თუ მიეცემა კვალიფიკაცია და მხოლოდ ამ კუთხით ექნება ბაკალავრიატის საფეხურზე შეთავაზებული საგნები სრულიად არარელევანტური იქნება სტუდენტის მომავლის განსაზღვრის თვალსაზრისით, რომელზეც უნდა იზრუნოს უნივერსიტეტმა და სახელმწიფომაც, რადგან განსახილველი პროგრამის შემუშავების ფორმა არის იდეალური ან იდეალურთან მიახლოებული, დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს არა მხოლოდ საერთაშორისო სამართალს, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ხაზი გაძლიერებულია საერთაშორისო სამართლის დარგებით, არამედ მათ შეთავაზებული აქვთ იურიდიულ ფაკულტეტის აბსოლუტურად ყველა ძირითადი საგანი, რაც აუცილებელია, რომ ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სტუდენტი თანაბრად მოთხოვნადი იყოს არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართულებით, მაგ., საერთაშორისო სამართალში, არამედ შიდა სამართალში. მისთვის განსახილველ პროგრამას ჰქონდა აღნიშნული პრობლემა, რადგან გაძლიერებულად არ ისწავლებოდა შიდა სამართლებრივი დარგები და სტუდენტები თანაბარი უნარებით ვერ სარგებლობდნენ, როდესაც ასრულებდნენ იურიდიულს - საერთაშორისო სამართალს არავინ არის დაზღვეული და არავის აქვს გარანტია, რომ აუცილებლად საერთაშორისო სამართლის კუთხით წავა და შიდა სამართალში, როდესაც საქმდებოდა შიდა სახელმწიფო ორგანოებში, მათ სათანადო კვალიფიკაცია არ ჰქონდათ, რა დროიდანაც განსახილველი პროგრამის განხორციელება დაიწყო და მათი სტუდენტები გამოდიან თანაბარი ცოდნით, ისინი უკვე თანაბარუფლებიანები არიან. მისი მოსაზრებით, ამ ფორმით განხორციელება მნიშვნელოვანია, თუ აღნიშნული პროგრამა სამომავლოდ იქნება, ვერ დაუჭერს მხარს და არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რომ განყენებულად არსებობდეს საერთაშორისო სამართალი და არ ისწავლებოდეს შიდა სამართლებრივი დარგები იმ დოზით/სავალდებულო მოთხოვნებით, როგორც არის განსახილველი პროგრამის ფარგლებში.

მოწვეულმა ლექტორმა, ირინე ბართაიამ, როგორც დამსაქმებელმა საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი დეპარტამენტიდან განაცხადა, რომ მათ ვაკანტური თანამდებობის აღწერაში პირდაპირ უწერიათ საერთაშორისო სამართლის სპეციალიზაციის მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ არ აქვს საფუძვლიანი ცოდნა ამ მიმართულებით, ვერ შეძლებს მუშაობის დაწყებას, ამიტომ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა. იგი იზიარებს იმ ფაქტს, რომ ბევრი უნივერსიტეტი უცხოეთში სთავაზობს სწორედ საერთაშორისო სამართლის მიმართულებით სწავლის გაღრმავებას, თვითონაც სწორედ ასე გაიღრმავა ცოდნა უცხოეთში.

14:53 საათზე საბჭოს შემოუერთდა გიორგი ღაღანიძე, რომელმაც განაცხადა, რომ აცილება გააჩნდა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან შრომითი ხელშეკრულება ჰქონდა უნივერსიტეტთან.

მოწვეულმა ლექტორმა, ნათია კალანდარიშვილი-მიულერმა, რომელიც უძღვება ჰუმანიტარული სამართლის კურსს, სილაბუსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2008 წელს ლევან ალექსიძემ მისცა შანსი ესწავლებინა ჰუმანიტარული სამართლის სასწავლო კურსი, ეს არის მის მიერ ირლანდიაში ნასწავლი პრაქტიკული მეთოდი და 2012 წლიდან ნერგავს, ამის მიზანია სტუდენტმა წარმოაჩინოს თავისი ნასწავლი მასალა იმ ფორმატით, თუ როგორ მსჯელობს ამის

შესახებ ამა თუ იმ კონკრეტულ პრობლემაზე. მაგ., ირინე ბართია ითხოვს, რომ სტუდენტს ჰქონდეს კომპეტენცია, ეს არის ირლანდიაში აღიარებული მეთოდი და მისი მოსაზრებით, წარმატებით მუშაობს ამ საკითხზე.
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, პროგრამების ხელმძღვანელმა, ირინე ქურდაძემ პროექტებთან დაკავშირებით დასძინა, რომ სილაბუსებშიც ბოლო კვირების განმავლობაში სასემინარო მუშაობის კონტექსტში არის შეჯამება, საშინაო დავალების პრეზენტაცია, რაც შეეხება სემესტრული მუშაობის განმავლობაში პროექტებს, სწორედ ამ ნაწილში ხდება აღნიშნული კომპონენტის წარმოჩენა და შეჯამება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს, რადგან ძალიან საინტერესო პროგრამაა და ამასთან დაკავშირებით კითხვები არ აქვს. მას სურდა დაეზუსტებინა დამსაქმებლის, ირინე ბართაიას მიერ გაჟღერებული ფრაზა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში უწერიათ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, საბჭოს წევრი დაინტერესდა საბაკალავრო განათლებას ითხოვენ თუ სამაგისტროს.
მოწვეულმა ლექტორმა, ირინე ბართაიამ განაცხადა, რომ სულ მცირე საბაკალავრო დონეზე მაინც რომ ჰქონდეს, მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა ამ მიმართულებით უნდა ჰქონდეს შეძენილი ცოდნა, შესაძლებელია, მაგ., შემდეგ მაგისტრატურაში გაიღრმავა ცოდნა.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საჯარო სისტემაში არიან სხვადასხვა რანგის სპეციალისტები, შესაბამისად ყველა რანგისთვის მისაღებია თუ არა საბაკალავრო დონე.
მოწვეულმა ლექტორმა, ირინე ბართაიამ განმარტა, რომ დამწყებ პოზიციაზე გულისხმობდა, შემდეგ არის კონკურსი და ვისაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს უპირატეს მდგომარეობაში ვარდება და უკეთ ახერხებს სპეციალიზაციის ტესტის ჩაბარებას.
2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	23.09.2011 გადაწყვეტილება №54
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	სამართალი 0421 Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზირი, №3, თბილისი, კორპუსი №2, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ და ნინო ინასარიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან ჯაყელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო საფეხურზეც დაფიქსირდა საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც შეეხება ექსტრა კურიკულარული აქტივობების წახალისებასა და ხელშეწყობას. კონფერენციებსა და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში სტუდენტთა მონაწილეობისთვის მომზადებისა და დაფინასების უზრუნველყოფა, ამ ნაწილში აღნიშნულია საკითხები, რომლებიც სტანდარტით არ ევალება, მის გარეთ აქვს მოწესრიგებული აღნიშნული საკითხი და შეთავაზებული სტუდენტებისათვის.
„საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში, 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებით დაფიქსირებული რეკომენდაცია:
„2.4. სტანდარტთან მიმართებაში - პრაქტიკის უზრუნველმყოფელ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება, საერთაშორისო სამართლის სფეროში პრაქტიკის გაძლიერება, მემორანდუმის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის გათვალისწინება.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროგრამების ხელმძღვანელის, ირინე ქურდაძის თქმით მნიშვნელოვანი იყო, რომ ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს პროგრამა, რაც აისახა კიდეც დასკვნის დოკუმენტში. დაწესებულების წარმომადგენლებმა საკუთარი მოსაზრება რეკომენდაციასთან დაკავშირებით ასახეს არგუმენტირებულ პოზიციაში, ამასთანავე მათთვის გასაგებია, რომ დარგობრივ დოკუმენტს გამოყენებული აქვს ტერმინები, რომლის გათვალისწინებაც უწევს, როგორც პროგრამის განმახორციელებლებს, ასევე ექსპერტებსაც, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, თვითონ პროგრამის „ქუდის ქვეშ“ სამაგისტრო პროგრამის მიზნებისთვის ოცამდე მემორანდუმია გაფორმებული, ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ ფორმდება უწყებებთან მემორანდუმები, თუმცა საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისთვის სამი ფოკუსირებული

მემორანდუმია გაფორმებული ბოლო პერიოდის განმავლობაში, მათ შორის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან, რომლებიც ძირითადად არიან მომხმარებლები საერთაშორისო სამართლის კვალიფიკაციის მქონე სტუდენტებისა, ამ მომენტში მოლაპარაკება მიმდინარეობს რამდენიმე უწყებასთან, საიდანაც მომდინარეობდა ინიციატივა, შესაძლებელია ამ მომენტში გათვალისწინებულ იქნას გაცემული რეკომენდაციები, თუმცა რიგ შემთხვევებში უწყებაზეც არიან დამოკიდებულნი. ამიტომ ზემოაღნიშნულ სამ მემორანდუმში, რომლებიც ფოკუსირებულად „საერთაშორისო სამართლის“ კვალიფიკაციის სტუდენტების მიზნებისთვის გაფორმდა, დაწესებულების წარმომადგენლები შეეცადნენ, რომ უფრო ნათელი მექანიზმი ჩაედოთ თუ როგორ უნდა მოხდეს, რადგან ეს პრაქტიკები წლების განმავლობაში მიმდინარეობს და მათი სტუდენტები პრაქტიკებზე დადიოდნენ, თუმცა ამ ეტაპზე სხვანაირი მექანიზმით სთავაზობენ; ეს იქნება პერმამენტული მუშაობა, სასწავლო სემესტრის წინ დაწესებულების წარმომადგენლები აცნობებენ უწყებას, თუ რამდენი მსურველი იქნება, რადგან საერთაშორისო სამართალი დიდი სისტემაა და აქაც სტუდენტების ინტერესიდან გამომდინარე შეეცდებიან შესთავაზონ პრაქტიკა იმ უწყებაში, რომელიც მის ინტერესებს პასუხობს, ასევე დამოკიდებულება იქნება სტუდენტების საერთო რაოდენობაზე და უწყებასაც, რომ ჰქონდეს რეალური რესურსი, რათა ეს პროცესი არ იყოს მხოლოდ ფორმალური, უწყების საჭიროებიდან გამომდინარე, იმ პერიოდისთვის, როდესაც პრაქტიკის სასწავლო კურსია გათვალისწინებული, რათა ეს იყოს პრაქტიკა პრაქტიკისთვის, რომ გააძლიეროს ის უნარები, რომლებიც სტუდენტმა სასწავლო კურსის დროს შეიძინა.

15:01 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე, რომელმაც თვითაცილება განაცხადა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან აქვს შრომითი ხელშეკრულება უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს წარდგენილი საინტერესო პროგრამისათვის. მან განაცხადა, რომ თუ სწორად გაიგო სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის გათვლილია 25 კრედიტი, ისევე, როგორც კვლევისათვის, დაინტერესდა თუ რატომ 25 კრედიტი და ცოტა მეტი ხომ არ იყო საჭირო.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ისევ იგივე კითხვა ჰქონდა.

მისი შემდეგი კითხვა უკავშირდებოდა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას, თუმცა დანართ 12-ში არ არის მითითებული როდის შემუშავდა, რა პერიოდზეა გათვლილი სტრატეგია, ბოლო წინადადება წერია 21-23 წლის გარკვეული აქტივობა. იგი დაინტერესდა თუ რომელ წლებს მოიცავს ინტერნაციონალიზაციის აღნიშნული სტრატეგია.

მისი თქმით, დანართ 6-ში დაწესებულებას მიწოდებული აქვს ვიზუალური ფორმით პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც ჯაჭვი არის შემდეგი სახით, ჯერ განისაზღვრება დარგის მიმართულების სპეციფიკა, სტუდენტების არსებული რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, კვალიფიკაციის პერსონალის რაოდენობა და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკა, თუმცა ამავე დანართში ცალკე დოკუმენტად არის A, B, C, D სახით ჩამოწერილი, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა განლაგების პრინციპით, იწყებენ უკვე არსებულიდან და შემდეგ გადადიან საერთაშორისო პრაქტიკაზე თუ ჯერ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას იღებენ და ამის მიხედვით განსაზღვრავენ აღნიშნულ საკითხს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამაში დარგობრივ მახასიათებელში გაწერილია წინადადება „ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული სამართლის განვითარებაზე“, იგი დაინტერესდა თუ რომელი სავალდებულო საგნით გადის სტუდენტი აღნიშნულ შედეგზე, რადგან მან 4-5 საგნის სილაბუსი ნახა და სურს დაზუსტება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ დამატებით დოკუმენტებში სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის ინსტრუქციაა, თუმცა ორი ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული, ერთში არც პლაგიატი, არც პრევენციის წესი და არაფერი არ იყო, მათ შორის არც სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილი, შემდეგ კი სხვა დოკუმენტში აღმოაჩინა ზუსტად გაწერილი დოკუმენტი, სადაც პლაგიატის მექანიზმებიც არის და სხვა, მისი მოსაზრებით, ძველი და ახალი დოკუმენტი ერთად მოხვდა.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, მან განაცხადა, რომ ძალიან საინტერესო პროგრამაა წარდგენილი. მან რჩევებთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ მათ დასკვნაში უწერიათ რჩევები 2.5 და 2.6-თან დაკავშირებით, რომლებიც საბაკალავრო

პროგრამაშიც იყო გაცემული, მათ სთხოვა მიეწოდებინათ დამატებითი ინფორმაცია, რადგან ორივე რჩევა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები იყოს დარეგულირებული დაწესებულებაში, ერთი ეხება - „ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სტუდენტების ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად ინდივიდუალური პროგრამების შედგენის არსებული პრაქტიკის წესების სახით მკაფიოდ და ცხადად ჩამოყალიბება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ დააზუსტონ რას მოიაზრებენ, არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული - ხელმისაწვდომობასთან იყო პრობლემა თუ რატომ გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია. მეორე კი - „სასურველია, უსდ-ში შემუშავდეს მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, გასაჩივრებული გამოცდის შეფასება გამჭვირვალე იქნება, მაგ., ნაშრომს შეაფასებს სხვა პერსონალი სტუდენტის ანონიმურობის დაცვით“.

15:08 საათზე საბჭოს შემოუერთდა თეონა მატარაძე, რომელმაც თვითაცილება განაცხადა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან აქვს შრომითი ხელშეკრულება უნივერსიტეტთან.

პროგრამების ხელმძღვანელმა, ირინე ქურდაძემ საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა დასმული კითხვებისათვის. საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის კითხვაზე მან უპასუხა, რომ წინა აკრედიტაციის დროს მიღებული ჰქონდათ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის დიზაინს, თუმცა მათაც ჰქონდათ სურვილი და ამასთანავე სტუდენტების ინტერესი, რაზეც ჰქონდათ მსჯელობაც, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი საუკეთესო შედეგებზე გასასვლელად, ამგვარად, წარდგენილი დოკუმენტი პროგრამისგან განსხვავებით მოიცავს სავალდებულო კომპონენტებს, არჩევითი საგნების საკმაოდ დიდ რაოდენობას, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს თავისი ინტერესების მიხედვით ააწყოს სასწავლო პროგრამა. არჩევითი საგნების კოეფიციენტი არის 2:1, ანუ იმაზე ორჯერ მეტი საგანია შეთავაზებული ვიდრე შეუძლიათ არჩევა, მაგრამ აუცილებელია ეს რაოდენობა მაინც აირჩიოს და ისე არის აწყობილი სასწავლო კურსები, რომ მათ აქვთ განმავითარებელი დატვირთვა და შესაბამისად საერთო შედეგზე გადიან. 25 კრედიტთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ეს არ არის სავალდებულო საგნების რაოდენობა, რადგან შემდეგ მოდის აუცილებელი 15 კრედიტიანი პრაქტიკა და 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი, ასე, რომ ჯამში ბევრია სასწავლო, სავალდებულო კომპონენტები.

დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნასთან დაკავშირებულ კითხვაზე მან განაცხადა, რომ სილაბუსებშიც ჩანს და დოკუმენტშიც, სადაც სასწავლო კურსებია წარმოდგენილი, რეალურად ისეთ სფეროში ამზადებენ სტუდენტებს, თითქმის არცერთი საგანი არ სცდება, მაგრამ სიღრმისეულად, განსაკუთრებულად ორი საგანი ეთმობა სავალდებულო კომპონენტებიდან: „საერთაშორისო სამართალი: შერჩეული საკითხები“ და „თანაფარდობის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები საერთაშორისო სამართალში“, ეს საგანი ერთ-ერთი პირველი სასწავლო კურსი იყო, რომელიც აღნიშნული პროგრამის „ქოლგის ქვეშ” შემუშავდა და შეთავაზებულ იქნა სტუდენტებისათვის და ყოველგვარი დარგობრივი დოკუმენტის გარეშე აღნიშნული სასწავლო კურსი ამ საკითხებს ფარავს.

ასისტენტ-პროფესორი, ნინო რუხაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ იმ სახით, რომლითაც გადანაწილებულია სავალდებულო და არჩევითი საგნების კრედიტების მოცულობა - ეს არის ოქროს შუალედი, როდესაც მსჯელობდნენ თუ რა წილი უნდა მიენიჭებინათ სავალდებულო საგნებისთვის, არჩევითი საგნებისთვის, გაითვალისწინეს უცხოეთის პრაქტიკა, აიღეს სამი ქვეყანა, სადაც ყველზე ხშირად მიდიან მათი კურსდამთავრებულები სასწავლებლად, ეს არის აშშ, გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ნახეს, თუ როგორ იყო პროგრამები აწყობილი, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, რომლებიც არიან საერთაშორისო სამართლის საგანმანათლებლო სფეროში №1 ქვეყნები, მათ აქვთ მიდგომა, რომ მთლიანად არჩევითია, შესაძლებელია 1-2 სავალდებულო, დანარჩენი ყველა არჩევითი საგნებია. ჰოლანდიას კი აქვს მეორე უკიდურესობა, მათ აქვთ სულ სავალდებულო საგნები შეთავაზებული, ასე რომ მათი მოსაზრებით, გააკეთეს იდეალური შერწყმა და ამასთანავე დაიჭირეს ოქროს შუალედი; არც მთლიანად არჩევითი კომპონენტებია შეთავაზებული, თუმცა ამის დიდი წილია, თუმცა არის მნიშვნელოვანი კომპონენტები სავალდებულო.

15:12 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნიკა თიკანაშვილი.

პროფესორმა, მაია კოპალეიშვილმა სავალდებულო საგნებთან/კრედიტებთან და პლაგიატთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტი არ უნდა იყოს შეზღუდული მისი ნების შესაბამისად რაც შეიძლება მეტი სასწავლო კურსს გაეცნოს და პროგრამა მოქნილობის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს, შესაბამისად 25 კრედიტი ბევრია სავალდებულო საგნების შეთავაზებისთვის და არა პირიქით - მცირე. სამაგისტრო პროგრამის მოქნილობა სწორედ ეს არის, რომ მიიღოს ის, რაც ბაკალავრიატში ვერ მიიღო, მით უმეტეს, როდესაც საერთაშორისო სამართალზეა საუბარი და ამ მიმართულებით ემსახურება განსაკუთრებულ სპეციალიზაციასა და გაღრმავებას, მაგ., სტუდენტის ცოდნის.

პლაგიატთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუკი აკადემიური წერის სტანდარტებზეა საუბარი და იქ უნდა იყოს, შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზი იყოს, მაგრამ შეუძლებელია პლაგიატთან დაკავშირებით არ ისწავლონ ნაშრომის წერის სწავლებისას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს საინტერესო კითხვებისათვის. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელეს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებთან მიმართებით. დაწესებულება მონაწილეობდა Erasmus+-ის პროექტში, რომლის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო Turnitin-ის ინტენსიური გამოყენება, ბოლო წლის განმავლობაში 3 000 ატვირთული დოკუმენტიდან 100 000 ატვირთულ დოკუმენტზე მეტი აქვთ, ძალიან დიდია ნახტომი თუ როგორ მიდიან პრევენცია/დეტექციისკენ, შესაბამისად ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის ყველა მარეგულირებელ დოკუმენტში და ეს ცვლილებები ეტაპობრივად წარმოადგინეს, ფაქტობრივად ყველა ახალი პროგრამა, რომელიც წარმოადგენს სამაგისტროს დაცვის პროცედურას, ისევე, როგორც ინსტრუქციას დეტალურად არის გაწერილი რა ეტაპები უნდა გაიაროს სამაგისტრო ნაშრომმა, რომ საბოლოოდ დაცვაზე წარსდგეს, არსებობს უკვე აპრობირებული/გაწერილი მეთოდი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გასაჩივრების მექანიზმი რეალურად არსებობს და მოიყვანა სტატისტიკა თუ როგორია ის მონაცემები, როდესაც სტუდენტი ასაჩივრებს, რის შედეგადაც შესაძლებელია სტუდენტს ჰქონდეს მოთხოვნა, ერთ შემთხვევაში გაასაჩივროს, მიიღოს პასუხი, და შემდეგ შეუძლია კიდევ გაასაჩივროს, აღნიშნული მექანიზმი სრულად არის გაწერილი და სტუდენტებს სრული ინფორმაცია აქვთ. პროცედურა/მექანიზმი სრულიად გამჭვირვალეა და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, თუმცა სტუდენტებს ხშირად კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია უნდათ ამ საკითხზე ან აუცილებლად უნდათ შედეგის მიღება. პროცედურა არსებობს და გამჭვირვალეა/საჯაროა, თუმცა მაინც შესაძლებელია, რომელიმე სტუდენტს კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა უნდოდეს, მისი მოსაზრებით, აღნიშნული რჩევა შესაძლებელია გამოეწვია რომელიმე სტუდენტის მოსაზრებას.

ექსპერტმა, ქეთევან ჩეკურიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული რჩევა მხოლოდ სტუდენტებისგან არ იყო ნაკარნახევი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ მეორე რჩევასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იმსჯელებენ აღნიშნულ საკითხზე, რადგან ეს პროგრამისთვის განვითარებისთვის გარკვეული მხარდაჭერაა, საუბარია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, რომელიც ინტენსიურად არსებობს და გამოყენებულია ფაკულტეტებზე, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, დაწესებულების წარმომადგენლებმა ნახეს, თუ რამდენად ხშირი იყო სტუდენტების მხარდაჭერა გარკვეული მიმართულებით და იმ საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელიც მათ ჰქონდათ და მათზე პასუხი იყო გაცემული ყოველ შემთხვევაში, ანუ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც არსებობს და დგება სტუდენტთა საჭიროებებს.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, თამარ ზარანდია დაეთანხმა მის წინა გამომსვლელს, მან განაცხადა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არსებობს და პრინციპში ყველა მათი სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობს, რადგან ისინი LMS-ის ბაზიდან ირჩევს საგანს, საჭიროებებთან დაკავშირებითაც განსაზღვრულია გრაფები, როდესაც მიმართავენ ადმინისტრაციას. გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილი იყო უნივერსიტეტში საგამოცდო ცენტრის არსებობის შესახებ, სადაც ტარდება გამოცდების ძირითადი ნაწილი, ასევე, საჯაროა საგამოცდო ცენტრის ანგარიშები, მან ვებ-გვერდზე ნახა აღნიშნული მონაცემები, რომ დაახლოებით 50%-ია გასაჩივრების მაჩვენებელი და 30-50% არის დაკმაყოფილებული. ეს მექანიზმი ნამდვილად არსებობს და სტუდენტებმა ამის შესახებ იციან.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, დასკვნაში რჩევაში წერია, რომ გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირად საგამოცდო ცენტრს მიღმა და სწორედ აქ არის საუბარი გამჭვირვალობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან ჯაყელმა განაცხადა, რომ ინსტიტუციური, საერთო შეფასებიდან იქნა გადმოტანილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია, თუმცა პირველადი შეფასებითაც და შემდეგაც დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს აღნიშნული მექანიზმი, თუმცა რჩევაში გაიწერა, რადგან ფრაგმენტულია, სტანდარტი დაკმაყოფილებულია, მაგრამ საჭიროა ცენტრალიზება, უფრო ფორმალური გაერთიანება, ფრაგმენტაციის დაძლევა და ერთობლივი სახით წარდგენა, სწორედ ამიტომ შეიძინა მან რჩევის სახე, მიუხედავად ამისა ექსპერტთა ჯგუფი მზად იყო გაეწერათ რეკომენდაციად, მაგრამ დაწესებულებისგან გამოითხოვეს დამატებითი ინფორმაცია, სრული აღწერა და ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნაა - ფორმალურ დონეზე

მოხდეს გაერთიანება, ისე რომ მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული. მისი მოსაზრებით, ისეთი თავისუფლება, როგორც აღნიშნულ ფაკულტეტს აქვს საკუთარი გეგმის ფორმირებისა საქართველოში სხვაგან არ უნახავს 10 წლიანი გამოცდილების ფარგლებში, სტუდენტები მხოლოდ წინაპირობებით არიან შეზღუდულნი, სრულიად თავისუფლები არიან შეადგინონ თავისი სასწავლო გეგმა სემესტრებისა და წლების მიხედვით, ამიტომ კარგი იქნება აღნიშნული რჩევის შესრულება, რომელსაც ექსპერტის ინფორმაციით, იზიარებს დაწესებულება.

ექსპერტმა, ქეთევან ცხადაძემ მადლობა გადაიხადა განმარტების საშუალებისათვის. მან განაცხადა, რომ აღნიშნული რჩევა ფორმირდა და არ დაისვა რეკომენდაციებში, მაგ., ინდივიდუალური სასწავლო გეგმების და შემდგომში უკვე გასაჩივრების. მისი თქმით, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი ეს არის იურიდიული ფაკულტეტი „ქოლგის ქვეშ“ და არ გააჩნია ავტონომიურობა, შესაბამისად სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და ხარისხის შეფასების აქტები დადგენილია იურიდიული ფაკულტეტის მიერ, ამიტომ ექსპერტები თანმიმდევრულნი არიან წინა დასკვნიდან გამომდინარე. ცნობილია ის ფაქტი, რომ 2 თვის წინ გაიარა აკრედიტაცია „სამართლის“ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამამ, რომელშიც აღნიშული იყო რჩევა, რომელიც გულისხმობდა ობიექტურობისა და გამჭვირვალობის კრიტერიუმს იმ მხრივ, რომ მექანიზმი არსებობს, უბრალოდ ფაქტობრივმა გარემოებებმა დაადასტურა, რომ დამატებითი კომისიის მიერ გასაჩივრების მექანიზმის არსებობა.

ექსპერტი, ქეთევან ჩეკურიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. იგი გამოეხმაურა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ნათქვამ ფრაზას, რომ შესაძლებელია აღნიშნული რჩევა სტუდენტების ინტერვიუებიდან მოდიოდეს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები არ წერენ ამ ფორმატში, რომ ორმა სტუდენტმა თქვა და ამიტომ გაიცა რჩევის სახით, თუმცა, რეალურად, იმდენად ბევრმა თქვა, რომ შესაძლებელია რეკომენდაცია გაცემულიყო აღნიშნულ საკითხზე. რეკომენდაციად ვერ ჩაიწერებოდა, რადგან ფაქტია ეს არსებობს ფორმალურად უნივერსიტეტში და ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს უფლება რეკომენდაციად დაწეროს, თუმცა ერთ-ერთი მოსაგვარებელი პრობლემა არის ობიექტური შეფასება, რომელიც შესაძლებელია არ ეხებოდეს აღნიშნულ პროგრამას, მაგრამ ექსპერტებს მიწოდებული აქვთ ფაკულტეტის გამოკითხვები და ეს არის მოცემულობა, შემდეგ, ინტერვიუების პერიოდში, სტუდენტებს, პერსონალსა და პროგრამის ხელმძღვანელსაც ექსპერტმა დაუსვა მსგავსი კითხვა, რაზე პასუხიც იყო შემდეგნაირი: ნაშრომს ამოწმებდა იგივე ადამიანი და რჩევაში ზუსტად ეს არის გათვალისწინებული, რომ ანონიმურობის დაცვით სხვა პროფესორმა შეამოწმოს, რათა ობიექტურობის განცდა ჰქონდეს სტუდენტს, ამ ეტაპზე ნაშრომს ამოწმებს იგივე პერსონალი, რომელმაც თავდაპირველად შეამოწმა. პროგრამის ხელმძღვანელიც დაეთანხმა ექსპერტებს, რომ მნიშვნელოვანი იყო იერარქიის დაცვა, შესაბამისად სტუდენტისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არ დაწერილა აღნიშნული რჩევა, რეალურად იყო სარეკომენდაციო, თუმცა რადგან არსებობს მექანიზმის ამიტომ გაიწერა საბოლოოდ რჩევად.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი ანტიპლაგიატთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რომელი სისტემით სარგებლობს უნივერსიტეტი, თუ გადაამოწმეს ექსპერტებმა ზოგადად როგორი იყო პროცენტულობა, რა მაჩვენებლები იყო ამ მიმართულებით.

მისი მეორე კითხვა კი უკავშირდებოდა დარგობრივ მახასიათებელს, რადგან იქ ეწერა, რომ სტუდენტები უნდა იცნობდნენ თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებსა და გამოწვევებს, გარდა მეორე შედარებითი სამართლის არსი და შედარებითი სამართლის მეთოდის გამოყენებით სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ესა თუ ის ეროვნული სამართლის სფერო. საბჭოს წევრი დაინტერესდა ზემოაღნიშნული კუთხით თუ შეაფასეს ექსპერტებმა და ეროვნული სამართლის რომელ დარგზე იყო გამახვილებული ყურადღება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება იყენებს Turnitin-ს, აქვთ 10 000 ლიცენზია მომავალი სამი წლის განმავლობაში, მინიმალური 100 000 „submission“ წლის განმავლობაში და სწორედ ამ ლიცენზიით იხელმძღვანელებენ, პროგრამა ჩაშენებულია მათ e-learning პლატფორმაში და ყველა ნაშრომი სწორედ ამ პროცედურას გადის. რაც შეეხება პროცენტს, დაწესებულებას არ აქვს დადგენილი, ყველა მიმართულებით შესაძლებელია იყოს 5%, 10%, 15%, 20%, რაც გადაეცემა თემის ხელმძღვანელს, როგორც კი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომზე მიდგება საქმე და თემის ხელმძღვანელი აკეთებს იდენტიფიცირებას, ეს არის მსგავსების დამდგენი მექანიზმი და არა პლაგიატის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან ჯაყელმა განაცხადა, რომ მას გაახსენდა საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის კითხვა დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეს საკითხი დასვეს და პროგრამის ხელმძღვანელმა საკმაოდ დასაბუთებული პასუხი გასცა, რადგან სწორედ მისი თანაფარდობის საგანში არის სამი თემა, ევროპული კავშირის, ევროპული სამართლის სამი თემა და შესაბამისი სილაბუსები, ექსპერტთა ჯგუფმა ყველა სილაბუსი გაიარა თანაფარდობების ნაწილში და აბსოლუტურად არის დაფარული სტანდარტები,

რადგან სილაბუსები კარგად არის თანხვედრაში, სილაბუსი პროგრამასთან და პროგრამა დარგობრივ მახასიათებელთან და უფრო მეტიც, აკრედიტაციის სტანდარტებთანაც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ 25 კრედიტი ეცოტავა, რადგან სხვადასხვა ქვეყნების დარგობრივ მახასიათებელში ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის სამართლის მიმართულების დარგობრივ მახასიათებელში, რადგან სამართალი რეგულირებადია, თანაფარდობა მინიმუმ შემდეგნაირად არის განსაზღვრული: პროგრამის 50-75% სავალდებულო და 50%-35% არჩევითი, თუკი დარგობრივი მახასიათებელი ამას არ განსაზღვრავს, მაშინ შესაძლებელია.
ასისტენტ-პროფესორმა, ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ დარგობრივი მახასიათებელი სამაგისტრო დონეზე არის.
საბჭოს წევრმა დასძინა, რომ დარგობრივი მახასიათებლები შექმნილია ქვეყნის დონეზე.
ასისტენტ-პროფესორმა, ნინო რუხაძემ განმარტა, რომ ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული რომელი პროგრამაც არ უნდა ნახონ ყველგან არის, რომ ძალიან მცირე რაოდენობა არის სავალდებულო საგნების.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ თუ სამართლის დარგობრივით არ არის განსაზღვრული მაშინ შესაძლებელია, რადგან ბიზნესის დარგობრივი მკაცრად/მკაფიოდ აღწერს, რომ 50% უნდა იყოს სავალდებულო, 50% კი არჩევითი.
პროგრამების ხელმძღვანელმა, ირინე ქურდაძემ სამაგისტრო ნაშრომის შესახებ არსებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არ არის ტექნიკური შეცდომა, ერთი არის ფაკულტეტის მიერ დადგენილი რეგულაცია, მეორე კი „საერთაშორისო სამართლის“ პროგრამის მიერ დადგენილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის რეგულაცია, სადაც ზუსტად ეს არის ჩაშლილი და განმარტებული.
ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ზოგადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკა და ერთ-ერთი მისია არის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და ბუნებრივია დაწესებულების წარმომადგენლები ამ დოკუმენტით ხელმძღვანელობენ, პაკეტში წარდგენილი დოკუმენტი კი ეხება „საერთაშორისო სამართლის“ მიმართულებას და ამიტომ არის იქ 21-23 წლები, რომ დანარჩენი ალბათ გაკეთებულია არის საუბარი იმ საკითხებზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:33
დასრულების დრო: 16:03
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია:
1. **2.3. სტანდარტთან მიმართებაში -** საერთაშორისო სამართლის მოდულის სავალდებულო კომპონენტის „მართლმსაჯულების საერთაშორისო ინსტიტუტები და სასამართლო პრაქტიკა“ კორექტირება, სასწავლო კურსის სახელწოდების, შინაარსის, მიზნების, შედეგებისა და შესაბამისი აქტივობების მკაფიო თავსებადობის უზრუნველსაყოფად.
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია:

1. **2.4. სტანდარტთან მიმართებაში** - პრაქტიკის უზრუნველმყოფელ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება, საერთაშორისო სამართლის სფეროში პრაქტიკის გაძლიერება, მემორანდუმის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის გათვალისწინება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

16:03 საათზე საბჭოს შემოუერთდა ანზორ ბერიძე

16:06 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე.

3. მესამე საკითხი: ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 13 დეკემბერი, გადაწყვეტილება N801
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	სამართალი 0421

		Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური) სასწავლო კორპუსი N 10 საფოსტო ინდექსი 6309 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევები და რეკომენდაციები.

ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.2 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· პროგრამის სწავლის შედეგების, პროგრამის სწავლის შედეგებში უნარების გათვალისწინებას;

· თვითშეფასების ანგარიშში, რომელიც ინსტიტუციის შიდა შეფასების მთავარ დოკუმენტს წარმოადგენს, სრული შევსება, რათა გარე შემფასებლებს გააჩნდეთ სწორი ანალიზისა და სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა;

· პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, უნდა გაიაროს რომელი სასწავლო კურსი რომელი კომპონენტით ფასდება, ეხება პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შემუშავებას, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას, შემდეგ კი მათ შედარებას;

2.1 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· უნდა გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

2.2, 2.3 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· უნდა გადაიხედოს პროგრამის სასწავლო ბადე, ზოგიერთი სასწავლო კურსი არჩევითიდან სავალდებულოშია გადასატანი, რათა პროგრამამ დააკმაყოფილოს სამართლის დარგობრივით განსაზღვრული მოთხოვნები, ზოგიერთ შემთხვევაში სასწავლო კურსებს დასაზუსტებელი/დასაკორექტირებელი აქვს წინაპირობები, დასკვნაში კი მითითებულია ყველა მათგანი, მათ შორის თემატურადაც რომ სრულად იყოს მოცული ამა თუ იმ სასწავლო კურსით, მაგ სამოქალაქო საპროცესო სამართალთან დაკავშირებით;

2.4 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მექანიზმთან დაკავშირებით;

2.6 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· რეკომენდირებულია, უსდ-მ სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვროს მხოლოდ შუალედური შეფასების, მათ შორის შეფასების კომპონენტების, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მათი გადალახვის შემთხვევაში სტუდენტი ყოველგვარი დამატებითი პირობების, მათ შორის სალექციო მეცადინეობებზე დასწრების მაჩვენებელის გათვალისწინების გარეშე დაუშვას დასკვნით გამოცდაზე;

3.1 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· უკავშირდება სტუდენტების სამეცნიერო და კვლევით პროექტებში ჩართულობას;

4.1 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· უფრო მეტ რესურსი გამოიყოს აკადემიური/განმახორციელებელი პერსონალის მხარდასაჭერად, ასევე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის;

4.2 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერას, მეტი რესურსებით უზრუნველყოფის რეკომენდაცია პარტნიორ უნივერსიტეტებთან;

5.1 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:

· უსდ-მ შიდა ხარისხის შესაფასებლად გამოიყენოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, განახორციელოს პროგრამის სრული მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, მიღებული შედეგები გაანალიზოს და ანალიზის შედეგები გამოიყენოს პროგრამის გასავითარებლად;

5.2 **ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:**

· უსდ-მ თვითშეფასების ანგარიშში ასახოს წინა აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების შესრულებისკენ გადადგმული ნაბიჯები;

5.3. **ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს:**

· უსდ-მ უზრუნველყოს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის უცხო პროგრამებთან დადარება და მიღებული შედეგების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის სამომავლო განვითრებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, თემურ ტუნაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდოამზე დამსწრე სხვა პირებს, რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულება აცნობიერებს გარე შეფასების მნიშვნელობას და მათი მოსაზრებით, ძალიან ძლიერი მექანიზმია, რომელიც იძლევა „მზა რეცეპტს“ პროგრამის განვითარებისთვის. მან ისაუბრა ექსპერტთა პროფესიონალიზმსა და კარგ მიდგომებზე, დაწესებულებამ რეკომენდაციები მიიღო პროგრამის გასაუმჯობესებლად, შესაბამისად რეკომენდაციების ძირითად ნაწილს ეთანხმებიან და მას სურდა წარედგინა რეკომენდაციების ნაწილი, რომელთა გათვალისწინებაც უკვე შეძლეს, გათვალისწინებულია რეკომენდაციები უნარების ნაწილში, მან განმარტა, რომ რაზეც იტყვის გაზიარებულია დაწესებულების მიერ, შეუძლია გააზიაროს შესაბამისი დოკუმენტი და აჩვენოს საბჭოს მათი ასახვა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა შეახსენა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭო არ არის უფლებამოსილი მხედველობაში მიიღოს დასკვნის შემდეგ მომხდარი ცვლილებები, მხოლოდ შემოწმების დროს რაც იყო, მხოლოდ იმის განხილვა შეუძლია.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია, უბრალოდ მას სურს დაამტკიცოს, რომ დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაციები და დაწყებულია მათზე მუშაობა, რადგან დასკვნის ფარგლებში საუბარი იყო სასწავლო კურსების წინაპირობებზე, რაც პროგრამაში უკვე აისახა, სასწავლო კურსების სილაბუსში სალექციო და სხვა პრაქტიკული მეცადინეობის საკონტაქტო საათების თანაფარდობის ურთიერთმიმართებაზე, რაც ასევე გასწორდა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი, რომელზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა იმუშავეს/გადაახალისეს და საუნივერსიტეტო დონეზე ასახავს

ყველა იმ მექანიზმს/პარამეტრს, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების შეფასებისათვის, მონიტორინგისა და უკუკავშირის ჩათვლით, ასევე შედგენილია შეფასების რუბრიკები კონკრეტულად, სამართლის პროგრამებისათვის. დაწესებულებას უკვე აქვს რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს არ აქვს უფლება მხედველობაში მიიღოს, დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან რეკომენდაციებს და რეკომენდაციების ნაწილი უკვე გათვალისწინებულია.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა სთხოვა ესაუბრა იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმება.
ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ განაცხადა, რომ არ არის ისეთი რეკომენდაცია, რომელსაც არ ეთანხმებიან, თუმცა იყო ერთი საკითხი, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობის შესახებ, დაწესებულებას ჰყავს 6 პროფესორი, 16 მოწვეული მასწავლებელი და მათი მოსაზრებით, თანაფარდობა 16:52-ზე უნდა ყოფილიყო, რადგან მოწვეულ მასწავლებელსაც ისეთი პასუხისმგებლობა აქვს აღებული, როგორც არჩეულ პროფესორს, აკადემიური ფუნქცია თანამდებობრივად განსხვავდება, მაგრამ საქმისადმი დამოკიდებულება არ იცვლება, ასე რომ მოწვეული მასწავლებელიც ისეთივე პერსონალია პროგრამისთვის, როგორც მოწვეული/ასოცირებული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, მან განაცხადა, რომ რეკომენდაციები, რომლებმაც გაიჟღერა ყველა სტანდარტს შეეხო, თუმცა მისი მოსაზრებით, კიდევ არის რამდენიმე ხარვეზი; პრაქტიკულად პროგრამის ყველა კომპონენტში დასაზუსტებელია საკითხები, ლაპარაკია, როგორც მიღების წინაპირობებზე, საგნობრივ წინაპირობებზე, სასწავლო გეგმაზე, შედეგებზე და ა.შ. მაგ., მატერიალურ რესურსზე, სადაც აკეთებენ ჩამონათვალს აქცენტი გაკეთებულია ბიბლიოთეკაზე, რომ უზრუნველყოფილია მეთოდური მასალებით, მაგრამ არ არის საუბარი იმიტირებულ დარბაზზე, რომელიც სავალდებულოა სამართლის სტუდენტებისთვის, ინგლისური ენის კომპონენტი სრულიად გაუგებარია, ყველგან არეულია სათაურები, დონეები, ორჯერ წერია B2, პირველ კურსზე რასაც ასწავლიან წინაპირობად საუბარია A1 ან A2 დონის საგანზე, შესაძლებელია სტუდენტი მივიდეს სკოლიდან და ჰქონდეს ფრანგული ან სხვა ენა ნასწავლი და არ იცოდეს ინგლისური, პირველი კურსის, პირველი სემესტრის საგნებში შეუძლებელია წინაპირობის დაწესება სტუდენტებისთვის, შეუძლებელია სკოლის კომპონენტზე საუბარი, ასევე ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით, მხოლოდ თანაფარდობაზე არ არის რეკომენდაცია, ძირითადად დოქტორანტები და მაგისტრანტები ჰყავთ და ხარისხის მიმართულებით არის კითხვები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვა რესურსებთან დაკავშირებით დაინტერესდა, როგორ განმარტა დაწესებულებამ დენადობის მაჩვენებელი, რადგან თვითშეფასებაში წერია მხოლოდ ციფრები, ვინც წავიდა, გასაგებია, რომ რთულია, მაგრამ მოხდა თუ არა ახალი კადრების მოზიდვა.
მისი თქმით, თვითშეფასებაში საკმაოდ შთამბეჭდავია 62 საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, მან გადახედა პერსონალის უმრავლესობას სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა საერთაშორისო პუბლიკაციები ვერ ნახა, შესაბამისად დაინტერესდა ეს თანაბრად გადანაწილებული მაჩვენებელია, თუ ერთი კონკრეტული პირია, რომელიც მას გამორჩა, რადგან 62 საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაცია საკმაოდ სოლიდური მაჩვენებელია, მან ასევე იკითხა, როგორ დაადგინა ექსპერტთა ჯგუფმა კომპეტენცია, თუ შეესაბამებოდა რეალობას.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რამდენიმე რეკომენდაციის გასწორება ძალიან სწრაფად მოხდა, (მაგ., წინაპირობების შესახებ რეკომენდაციას) იურიდიული პროგრამები უკვე დადგენილ რეგულაციებს ეფუძნება, აქედან გამომდინარე თუნდაც წინაპირობების გასწორების საჭიროება რატომ დადგა, რა უშლიდა ინსტიტუციას ხელს, რომ მაინცდამაინც ექსპერტების რეკომენდაცია გახდა აუცილებელი; რა პრინციპით იხელმძღვანელა ინსტიტუციამ ამ საკითხში.
ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ საბჭოს წევრის, მაკა კაჭარავას კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს იურიდიული კლინიკა, რომელიც ძალიან წარმატებით მუშაობს რეგიონული სახის პრობლემატიკაზე, მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ, როგორც სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულებიც, რომლებიც ზემო აჭარის სხვადასხვა სოფელში ცხოვრობენ და პრობლემები ძირითადად გამოხატულია სოფლის საჭიროებებს სხვადასხვა მეწარმეობასთან მიმართებაში და მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით, აღნიშნული იურიდიული კლინიკის არსებობა და მისი მუშაობის დადებითი მხარეები დასკვნაში ექსპერტებსაც აქვთ აღნიშნული.

პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციებს და პროგრამაში შეიტანეს ცვლილებაც, ფაქტობრივად, პროგრამაზე სულ მოდიან ინგლისურ ენა ჩაბარებული სტუდენტები, სხვა შემთხვევა არ ჰქონიათ, თუმცა რეკომენდაცია გასაგებია, რადგან შესაძლებელია მივიდეს სტუდენტი, რომელსაც არ აქვს ჩაბარებული ინგლისური ენა და ასეთ შემთხვევაში შეიტანეს ცვლილება პროგრამაში, განიხილეს აკადემიური საბჭოს ფარგლებში და დაუშვეს, რომ ასეთი სტუდენტებისთვის, ვისაც არ ექნებოდა ინგლისური ჩაბარებული, შექმნეს A1 და A2 დონის დაძლევის მექანიზმი, ორი სემესტრის განმავლობაში გაივლიან და შეადგენს 10 კრედიტს, 2 სემესტრის განმავლობაში მოამზადებენ რომ შემდეგ ისწავლოს B1 დონის ინგლისური.

სახელწოდებასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ B2 და B2 არის რადგან ეს არის ინგლისურის შესწავლის მეორე და მესამე დონე, ერთიდაიგივე სათაური ჰქონდა პროგრამას, მაგრამ შინაარსობრივად ეს არის B2.1 და B2.2, შინაარსობრივი მახასიათებელი ნამდვილად შეესაბამება რომ ისინი განსხვავდებიან, თუმცა პროგრამის ჩამონათვალში ორივეს სახელი არის B2.

პერსონალთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საუბარი იყო საერთაშორისო წიგნად ფონდებსა და ბაზების გამოყენების მაჩვენებელზე, თუმცა დაწესებულებას აქვს ეს ბაზები, განხორციელებულია შესყიდვები, რომელშიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დაეხმარა მათ და ბაზებთან წვდომა მათ პერსონალს ნამდვილად აქვთ, რასაც ექსპერტებიც ადასტურებენ.

დენადობის მაჩვენებელთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა აკადემიური პერსონალის დენადობა. მისი მოსაზრებით, საბჭოს წევრები უფრო მეტად ჩახედულები არიან საქართველოს მასშტაბით, თუ როგორი რთულია იურიდიული კვალიფიკაციის პერსონალის მოძიება, მათ გამოაცხადეს ახალი კონკურსი და პროფესიული ნიშნით დაუშვეს აკადემიურ თანამდებობზე პირების არჩევა, იურისტები, ადვოკატები, რომლებიც სხვადასხვა ინსტიტუციასა და დაწესებულებაში მუშაობენ, ასევე სასწავლო პროცესში იღებენ მონაწილეობას და ამ გზით დაწესებულება შეეცადა შეეჩერებინა დენადობის მაჩვენებელი და სიტუაცია მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებულიყო, რამაც განაპირობა რამდენადაც ისინი პრაქტიკოსი მოსამართლეები არიან ნაკლებად არიან ჩაბმული სამეცნიერო საქმიანობაში, მაგრამ დაწესებულება შეეცდება, რომ აღნიშნული მაჩვენებელი გააუმჯობესოს, მისთვის უცნობია კვლევით სფეროში მოწვეული მასწავლებლების ინტერესების შესახებ, თუმცა ძალიან კვალიფიციური პერსონები არიან, რომელთაც დიდი ხნის სტაჟი აქვთ და სასწავლო პროცესში პრაქტიკული მიმართულებით, იურიდიულ კლინიკასთან დაკავშირებით, იმიტირებულ პროცესებთან მიმართებით და სამართლებრივი კუთხით პოზიტიური და დადებითი შედეგები აქვთ.

საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ციფრი 62 ამ პროგრამაში ჩართული მთლიანი პერსონალის მაჩვენებელია და ეს ციფრი არ გულისხმობს მაღალრეიტინგულ და Impact ფაქტორიან ჟურნალებს, ეს არის საერთაშორისო კონფერენციები, საერთაშორისო ჟურნალები, რომელთა საერთაშორისო ხარისხი განისაზღვრება მათში მონაწილე საერთაშორისო მეცნიერ-მკვლევარებით და არ მიუთითებს მაღალი რეიტინგის ჟურნალებს.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, მზია შავაძემ წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წინაპირობები თავიდან თითქმის ყველა სილაბუსში იყო განსაზღვრული, ერთადერთი იყო „შრომის სამართალი“, რომელშიც არ იყო განსაზღვრული წინაპირობა და მიეცათ რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით, რომ წინაპირობად განესაზღვრათ „სახელშეკრულებო სამართალი“, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ძირითადად იყო რეკომენდაციები, მაგ., „ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში“ ჰქონდათ „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“ წინაპირობად და რეკომენდაციის ფარგლებში დადგინდა, რომ სასურველია იყოს „სამოქალაქო სამართლის პროცესი“ და რეკომენდაციის ფარგლებში წინაპირობები აქვთ დაცული და შესრულებული, ამ კუთხით ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ პირველად წარმოდგენილ სილაბუსებში არ იყო განსაზღვრული წინაპირობები, რადგან იყო, მაგრამ დაკორექტირდა რეკომენდაციების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემულია დოკუმენტაცია, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების ანალიზი, რომელიც თავიდან ბოლომდე არის ნარატიული არ არის მითითებული ციფრები, რამდენი პოტენციური დამსაქმებელი გამოკითხეს, რა კვლევა ჩაატარეს და ა.შ. ეს არის ნარატივი, სადაც აქცენტი კეთდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტში დასაქმების შესაძლებლობებზე. დაინტერესდა რაიმე დოკუმენტი აკლია თუ ჩატარდა კვლევა და თუ ჩატარდა, როდის ჩატარდა.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ აღნიშნულ დაწესებულებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა რეგიონში, ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

ფაქტორია, თუმცა არ ნიშნავს, რომ შეფასების კრიტერიუმებში რაიმეს ცვლილება იქნება, უბრალოდ გამოხატა პატივისცემა განმახორციელებელი პერსონალის მიმართ. მისთვის წარმოუდგენელია რომელიმე იურისტს არ მიეცა მათთვის ისეთი რჩევები, როგორიც გარე შეფასებამ მისცა, პრერეკვიზიტებთან დაკავშირებით. მისი თქმით, აუცილებელია გარე შეფასება პროფესიონალების, როდესაც ასეთ პროგრამებზე მუშაობენ, შესაძლებელია საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის მოსაზრების გაგრძელებაც არის, რომ ზოგიერთი ისეთი საკითხიც, რომლის მოგვარებაც დაბალ შეფასებამდეც შეიძლებოდა. მან გაიხსენა დაწესებულების წარმომადგენლის ფრაზა, რომ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს ერთნაირად უყურებენ და დაინტერესდა მართლაც ასეთი რეგულაციები აქვთ თუ მეტი მდგრადობისთვის, გარკვეული დოზით კვლევა ყველა უნივერსიტეტს სჭირდება და უკეთესი ხომ არ იქნება გაითვალისწინონ ექსპერტების რჩევა კვლევითი კომპონენტის გაძლიერების შესახებ, რომლის ბევრი მაგალითი არსებობს საქართველოშიც და უცხოეთშიც. საბჭოს წევრი დაინტერესდა ამ ეტაპზე რა განსხვავებაა მოწვეულ პერსონალსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ასევე აკადემიურ და აფილირებულ პერსონალს შორისაც.

2.6 კომპონენტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო და სურს დააზუსტოს რა იგულისხმება, წერია: „რეკომენდირებულია, უსდ-მ სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვოს მხოლოდ შუალედური შეფასების, მათ შორის შეფასების კომპონენტების, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მათი გადალახვის შემთხვევაში სტუდენტი ყოველგვარი დამატებითი პირობების, მათ შორის სალექციო მეცადინეობებზე დასწრების მაჩვენებელის გათვალისწინების გარეშე დაუშვას დასკვნით გამოცდაზე“, ანუ რეკომენდაციიდან საბჭოს წევრისთვის გაუგებარია რა რეგულაციაა ამ ეტაპზე და რა გზით სთავაზობს ექსპერტთა ჯგუფი მის გამოსწორებას, ახლა ქულა იწერება და სთავაზობენ, რომ არ დაიწეროს თუ უნდოდათ ეთქვათ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ინგლისური ენის სილაბუსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ განაცხადეს შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ოთხივე თუ ხუთივე ინგლისურის მიზანი აბსოლუტურად ერთიდაიგივეა, ამიტომ შინაარსობრივ სხვაობაზე ლაპარაკი ზედმეტია, როდესაც მიზანი ერთიდაიგივეა.

16:54 საათზე სხდომა დატოვა ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული დაწესებულება არის კერძოდ უნივერსიტეტი, სასწავლო დაწესებულება და მათთან ფინანსური თვალსაზრისით აკადემიური საათის ღირებულების კუთხით განსხვავება არ არის, აკადემიური პერსონალი ყველა აფილირებულია, ანუ აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის განსხვავება არ არის, სხვაობა არის მხოლოდ დატვირთვაში, კომპეტენციებიდან და კვალიფიკაციებიდან გამომდინარე, დატვირთვის დროს უპირატესობა ენიჭება აფილირებულ-აკადემიურ პერსონალს, თუმცა კოლეგიალური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შეიძლება ისეთი შემთხვევებიც ფიქსირდებოდეს, როდესაც მოწვეულ პერსონალს უფრო მეტი საათი აქვს, ვიდრე აფილირებულს.

შუალედური და დასკვნითი გამოცდებს მინიმალური კომპეტენციების ზღვართან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ჩანაწერი, ვინაიდან ეს არის მთიანი რეგიონი და ჯგუფები/კონტიგენტი არ არის დიდი, ჯგუფებში შეიძლება იყოს ისეთი მცირე რაოდენობის სტუდენტები როგორიცაა, 5-9 სტუდენტი, რომლებიც იქვე ცხოვრობენ, ახლო ტერიტორიებზე, თუმცა დაწესებულებას ჰქონდა შემთხვევები, როდესაც სტუდენტი არ ესწრება ლექციას, რადგან სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დროს ეხმარება ოჯახს და ა.შ. ამიტომ აღნიშნული პრობლემის ასე თუ ისე გამოსასწორებლად გაჩნდა ჩანაწერი, რომ სტუდენტი უნდა დაესწროს ლექციების მინიმუმ 50%-ს, და ეს იყო წინაპირობა, დასწრებაში არ იწერება ქულები, თუმცა რეკომენდაციიდან გამომდინარე, არსებული ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ს და დაწესებულებამ უკვე შეცვალა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განსაზღვრულია, რომ შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი არის 20 ქულა, დასკვნითი გამოცდის კი 21 ქულა, ამასთანავე ცალკეული სასწავლო კურსის პედაგოგს, მისცეს იმის საშუალება, რომ საჭიროებისა და არგუმენტაციის შემთხვევაში გაეზარდა კომპეტენციის ზღვარი, ანუ 20-21 არის მინიმალური საუნივერსიტეტო მოთხოვნა და თუ სასწავლო კურსის ავტორი დაასაბუთებს, რომ მისი სასწავლო კურსისათვის საჭიროა მეტი და ეს სასარგებლო იქნება ფაკულტეტის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ამა თუ იმ სასწავლო კურსში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდოს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ინიციატივა შესაძლებელია სხვა მსჯელობის საგანი გახდეს, თითოეულ სასწავლო კურსში ინდივიდუალური მინიმალური ზღვრის დადგენა, თუმცა ამ ეტაპზე მასზე ვერ იმსჯელებენ.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული წინაპირობის შესახებ დაწესებულებას აქვს პროგრამაში გაწერილი, შუალედური და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვიზიტის დროსაც იყო დადგენილი, თუმცა დამატებით შუალედურის შემდგომ სტუდენტს განესაზღვრა, რომ უნდა დაესწროს ლექციების 50%-ზე მეტს. მისთვის აბსოლუტურად გასაგებია აღნიშნული ცვლილების პათოსი, მაგრამ მეორეა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3, რომელიც კომპეტენციის ზღვრებს განსაზღვრავს და ხაზგასმით განაცხადა, რომ ეს წერია პროგრამაში. ინდივიდუალური სასწავლო კურსი თეორიული დაშვების დონეზე შესაძლებელია მსგავს რამეს ითვალისწინებდეს, რადგან სხვა შემთხვევაში ვერ გადიოდეს, შესაძლებელია იყოს წინაპირობების დამთხვევისა და შეთავსების შედეგად ასეთი რამ განისაზღვროს, მაგრამ პროგრამულად, ყველა სასწავლო კურსთან მსგავსი რამის განსაზღვრა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-თან.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დასძინა, რომ თუ იქნება პრაქტიკული კურსები, კლინიკა და ა.შ. მაშინ შესაძლებელია დაინახონ სავალდებულოობა, თუმცა თეორიულ კურსებში რთულია ამის დანახვა.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ განაცხადა, რომ პროგრამაში უკვე გაასწორეს, თუ კი ამას რამე მნიშვნელობა ექნება.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა დაინტერესდა ლექტორებიდან რამდენია დარგის სპეციალისტი და როგორ შეაფასებენ მათ პროდუქტიულობას.

ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ თვითონ მუშაობდა მეოთხე სტანდარტზე და შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფთან მუშაობის შედეგად გაიწერა, მან დაადასტურა, საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უნივერსიტეტის არსებობას აჭარის რეგიონისათვის, თუმცა აღსანიშნავია ის მომენტი, რომ სხდომის პირველ ნაწილზე დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ, რომ მათ აქვთ საკმაოდ დიდი მოცულობის, თითქმის შეუზღუდავი ბიუჯეტი აღნიშნული პროგრამის განვითარებისათვის და შესაბამისად მათ სრული თავისუფლება ენიჭებათ გააკეთონ პროგრამისთვის ის, რაც არის ძალიან კარგი და შესაძლებელია რომ კარგი პროგრამა ჰქონდეთ მათ, თუმცა მეოთხე სტანდარტზე მუშაობისას ექსპერტმა არაერთი შეკითხვა დასვა, პერსონალის მხარდაჭერასთან, პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართვასთან, თუნდაც განმავითარებელ კვლევით აქტივობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ძირითადად ჩართულები არიან პრაქტიკოსი იურისტები, რომლებიც არიან ადვოკატთა ასოციაციის წევრები და მისთვის გასაკვირად მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსაზრებით შესაძლებელია დასაქმებული ყოფილიყო და მიწვეული ლექტორის სტატუსით მაინც ყოფილიყო საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე მოსამართლე მაინც, ამასთანავე ყოფილიყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, აღნიშნული არ დადასტურდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მობილობა ახსნილია ტერიტორიული სიშორით ბათუმიდან, რატომაც ბევრმა ლექტორმა უარი განაცხადა ამ ნიშნით ყოფილიყო მოწვეული ლექტორი და დაედო ხელშეკრულება აღნიშნულ უნივერსიტეტთან.

სამეცნიერო ნაწილთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან თითქმის ვერ დადასტურდა, რომ იგი რაიმე ფორმით ჩართულია აკადემიური პერსონალის განმავითარებელ აქტივობებში მხარდაჭერით, წახალისებით ან რაიმე ფორმით უზრუნველყოფს მათ ჩართვას სამეცნიერო და კვლევით საქმიანობებში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული 62 საერთაშორისო პუბლიკაცია ვერ დადასტურდა, მათ შორის მას მოლოდინი ჰქონდა, რომ იგულისხმებოდა მაღალრეიტინგული გამოცემები, ან საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც უნივერსიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც უნივერსიტეტი ამბობს რომ მას აქვს იმხელა რესურსი ყველაფერი დაუფინანსოს აკადემიურ პერსონალს, ამ რეალობაში ექსპერტის მხრიდან იყო მოლოდინი, რომ იქნებოდა მხარდაჭერა, თუმცა კვლევითი საქმიანობა და პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებულ პროექტში ჩართულობა პროფესორ-მასწავლებლების მხარდაჭერა ან რაიმე ფორმით წახალისებას ადგილი არ აქვს.

წინაპირობებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რაც მონიშნული ჰქონდა და გადაამოწმა სხდომის მიმდინარეობისას, „საბანკო სამართალი“, „ინტელექტუალური სამართალი“ „საკონსტიტუციო იუსტიცია“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი“, „შრომის სამართალი“, „პრაქტიკული კურსი: სამოქალაქო სამართალში“ მათ წინაპირობები არ უფიქსირდებათ, ან აქვთ მაგრამ არა რელევანტურია. იყო საგანი პრაქტიკული კურსი: სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალსა და საჯარო სამართალში და როდესაც მის განმახორციელებელ პერსონალს ექსპერტებმა კითხეს ხომ არ იყო დუბლირება სამოქალაქო პროცესთან და რამდენად რელევანტური იყო წინაპირობა,

დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ეს სილაბუსები ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა შეცდომით და არ უნდა გაეთვალისწინებინათ, შესაბამისად ეს დარჩა შეფასების მიღმა. „საკორპორაციო სამართლის“ წინაპირობად მიჩნეულია კერძო სამართლის მიმართულების სავალდებულო კურსი, ექსპერტის თქმით, საბჭოს წევრებიც დაეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ასეთი წინაპირობა არ არსებობს და რას გულისხმობს ვერავინ გაიგო, ვერც დაზუსტებამდე და ვერც მის შემდეგ. ექსპერტს დარჩა განცდა, რომ სამოქალაქო პროცესი და კერძო სამართლის პრაქტიკული კურსის მხრივ აბსოლუტურად არ არის გააზრებული მათი დუბლირება და სტუდენტს არ შეიძლება რომ დუბლირებული საგნები შესთავაზონ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერც დუბლირებაზე მიუთითა, რადგან სასწავლო კურსის ხელმძღვანელმა, ნარგიზ ცეცხლაძემ დაადასტურა, რომ აბსოლუტური შეცდომაა ექსპერტებისთვის მიწოდებული სილაბუსები და არ უნდა მიეღოთ მხედველობაში, ამის გათვალისწინებით ექსპერტებმა ვეღარ იმსჯელეს პრაქტიკული კურსის ნაწილზე.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ ვინაიდან პროგრამაში ჩართული ყველა პირის პირადი საქმე დეტალურად შეისწავლა, სამწუხაროა და უნივერსიტეტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს გადაეგზავნა ძველი CV-ები, თუმცა ექსპერტმა ამით იხელმძღვანელა, ერთადერთი დოქტორის ხარისხის მქონე ლექტორია ნუგზარ ფუტკარაძე და აღსანიშნავია, რომ მას დოქტორის ხარისხი მიენიჭა 1993 წელს და შემდგომ 2001 წელს დაამთავრა ბაკალავრიატის საფეხური, ანუ დოქტორის ხარისხი უსწრებდა ბაკალავრიატს, რაც მნიშვნელოვანია, დაეფიქსირებინა საბჭოს წინაშე.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ განაცხადა, რომ მისთვის უცნობია საიდან წამოვიდა აღნიშნული მოსაზრება შეუზღუდავ ბიუჯეტთან დაკავშირებით. ამით მას არ სურს თქვას, რომ დაწესებულება ხელს უშლის პროფესურას, არ ახალისებს და ა.შ., მაგრამ საკითხის წამოწევა ისე, რომ დაწესებულებას შეუზღუდავი ბიუჯეტი აქვს, არ შეესაბამება რეალობას, მართალია კერძო უნივერსიტეტია, მაგრამ სასწავლო პროცესი არის სრულიად უფასო, რასაც თავისი მიზეზები აქვს, სამჯერადი კვება, საერთო საცხოვრებელი უცხოელი სტუდენტებისათვის - ეს ყველაფერი უფასოა და მისთვის გაუგებარია ამ მოსაზრების წარმომავლობა.

წინაპირობებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ წარდგენილ სილაბუსებში იყო გარკვეული ხარვეზები/შეცდომები წინაპირობებთან თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ ეტაპზე გასწორებულია.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, მზია შავაძემ წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წარდგენილ სილაბუსებში რაც იყო წინაპირობები, იყო დაცული, მაგრამ რამდენიმე სილაბუსში, მათ შორის „შრომის სამართალი“ არ ეწერათ წინაპირობა, თუმცა ნაწილ სილაბუსებში გაწერილი წინაპირობები არ ჩაითვალა სწორად და გაიცა რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა.

ბიუჯეტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ არასწორად იქნა მოხსენიებული მათი ბიუჯეტი, როგორც შეუზღუდავი, რადგან უნივერსიტეტი სრულად ფინანსდება საქართველოს საპატრიარქოსგან და შესაბამისად გაწერილი და რეგლამენტირებულია, შეუზღუდავი ბიუჯეტი, გადაჭარბებული ნათქვამია და დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან მოხდა გაჟღერება, თუმცა გულისხმობდნენ, რომ თუ ლექტორ-მასწავლებლების მხრიდან მათი განვითარებისათვის იქნებოდა გარკვეული შემოთავაზებები კვლევების გამოქვეყნება და ა.შ. უნივერსიტეტი მაქსიმალურად გამოყოფდა ყველა საბიუჯეტო რესურსებიდან თანხას, რაც შესაძლებელი იქნებოდა.

მან აღნიშნა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული უნივერსიტეტის არსებობა ზემო აჭარაში. დაწესებულებას შესაძლებელია არ აქვს ისეთი პროფესიონალიზმი, სწავლების, განვითარების დონე, მაგრამ აქვთ ეროვნული მოწოდება რომ არსებობდეს და განვითარდეს.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ია შალამბერიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება გამოთქვამს მზაობას ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებისათვის, რადგან ეს პროცესი ორიენტირებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად. მან განაცხადა, რომ ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც აუცილებელია ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში და ა.შ. მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან, აჭარის განათლების სამინისტროდან არის მზაობა და ხელშეწყობა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის ლექტორებისათვის უზრუნველყოფილი იყოს მათი მონაწილეობა. მაგ., აღნიშნული ხელშეწყობით იყო აკადემიური პერსონალი, კერძოდ, ნიკოლოზ მეგრელიშვილი წარდგენილი იყო საერთაშორისო კონფერენციაზე. დაწესებულებამ ასევე მემორანდუმი დადო რუმინეთთან და სხვა, სადაც უკვე დაიგეგმა არაერთი საერთაშორისო კონფერენცია 2017-2018 წელს, შემდეგ კი ხელი შეეშალათ, თუმცა ამავდროულად ეს ეხებოდა არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობას ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციებში, არამედ სტუდენტების გაცვლასაც, ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლება იყო რუსულად, ამიტომ დაემატა სასწავლო კურსი სტუდენტების გადასამზადებლად, თუმცა პანდემიამ შეუშალათ ხელი.

სილაბუსებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მისი დასახელებული მიდგომები არის გასაუმჯობესებელი, რადგან თითოეული სასწავლო კურსი უფრო მეტად გავიდეს შედეგზე, დასკვნაშიც არის მითითებული, რომ „სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას“.

მან განმარტა, რომ მათი არჩეული პროფესორი არის მოსამართლე, 25 წლიანი სტაჟით, რომელიც დღესაც არის ხელვაჩაურის სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციოსთან დაკავშირებით მათ მუდმივად აქვთ შეთავაზებები, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით არის გარკვეული გადინება, მათი გრაფიკიდან გამომდინარე.

ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ პირველივე სესიაზე თავად უნივერსიტეტის კანცლერმა დაადასტურა ბიუჯეტის შეუზღუდავი ხასიათი, თუმცა ვერ დადასტურდა უნივერსიტეტის მიერ პერსონალის მხარდაჭერა სამეცნიერო-საქმიანობაში ჩართვას, მეტიც ბიუჯეტში პირდაპირ წერია, რომ კვლევის ხარჯებზე გამოყოფილია 2500 ლარი, ამის მიუხედავად, ექსპერტმა როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს დაუსვა კითხვა საქმიანობის განმავლობაში ერთ ღონისძიებაში მაინც თუ მიუღიათ მონაწილეობა, რომელშიც მხარდაჭერა განახორციელა უნივერსიტეტმა, მათი მხრიდან კი იყო აბსოლუტური დუმილი, მათი მხრიდან ერთი ღონისძიებაც კი ვერ დასახელდა.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ეს არ უნდა გახორციელდეს სამართლის იმ პროგრამის ხარჯზე, რომელიც წარდგენილია და უნდა იყოს გაზიარებული სტუდენტის საუკეთესო ინტერესი, რადგან სტუდენტს, რომელიც რეგულირებად პროფესიაზე სწავლობს და კურსდამთავრებულს, როდესაც ეკითხებიან ოთხი წლის განმავლობაში რა დოზით ჰქონდა შეხება სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკასთან მათი პასუხი იყო რომ ახსენდებოდათ 2 გადაწყვეტილება, რომელზეც ისაუბრეს. ასევე იყო კითხვა, თუ სად მდებარეობს საკონსტიტუციო სასამართლო, რაზეც პასუხი იყო სრული დუმილი. რეგულირებადი პროფესიაა და ის მნიშვნელობა, რომელიც უნივერისტეტს აქვს ბალანსირებული უნდა იყოს იმ პროდუქტით, რომელსაც სტუდენტებს აწვდიან.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ტერმინზე „შეუზღუდავი ბიუჯეტი“ საუბარი გასაგებია, რადგან შეუზღუდავი ბიუჯეტი NASA-საც კი არ აქვს, ინსტიტუცია საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს უმეტესად რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, რომ რაღაცნაირად შეინარჩუნოს და ადგილზე დააკავოს სტუდენტები, მაგრამ საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რას აკეთებს დაწესებულება კარგი აკადემიური პერსონალის მისაზიდად, ასევე რა იყო რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების მიზანი და უნივერსიტეტის სტუდენტებიდან დაახლოებით რამდენი პროცენტია ადგილობრივი (იმავე რეგიონის) სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ 2.2 კომპონენტთან მიმართებით დასკვნაში ვერ ნახა დასაბუთება, თუ რატომ უნდა მოხდეს დემოკრატიისა და მოქალაქეობის ამოღება სასწავლო პროგრამიდან, შესაბამისად სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს განემარტათ. 4.2 კომპონენტის მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თვითონ ფორმულირებასთან დაკავშირებით აქვს კითხვა, რადგან იქ წერია, რომ „უსდ-ს მიერ მუდმივად მოხდეს პერსონალის მიერ სამეცნიერო ბაზების ფაქტობრივად გამოყენების ზედამხედველობა და კონტროლი“, მისი მოსაზრებით, გამოყენების სიხშირის დათვლა შესაძლებელია, მაგრამ ზედამხედველობა და კონტროლი უხეში/მკაცრია.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დაადასტურა მისი დიდი პატივისცემა დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. მან განაცხადა, რომ ეს არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ერა ზემო აჭარაში და ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ იმ მწირი ადამიანური და ფინანსური რესურსებით, რაც გააჩნიათ. მისი კითხვა უკავშირდება სტუდენტებს, იგი დაინტერესდა თუ შეხვდნენ ექსპერტები ქართველ სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა და როგორია მათი მოსაზრება უნივერსიტეტის მიმართ, რადგან საბჭოს წევრის დროს ისინი იყვნენ ძალიან ბედნიერები.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება აკადემიურ პერსონალს სთავაზობს 33-35 ლარის ფარგლებში ხელფასს, ამას დამატებული სამართლის პროგრამასთან მიმართებით მათმა თანამშრომელმა შესთავაზა კვლევითი ნაშრომის გამოქვეყნება, ამ ეტაპზე მიმდინარეობს რეცენზირება, განხილვა, რათა შემდეგ უნივერსიტეტმა თავის თავზე აიღოს პასუხიმგებლობა - ამას გამოაქვეყნებს თუ დასჭირდება გადამუშავება. სამართლის პროგრამის გარეთ არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც უნივერსიტეტმა აკადემიურ პერსონალს დაუბეჭდა მონოგრაფიები, საკმაოდ დიდი ტირაჟირებით, ერთ-ერთი იყო ლაზური ენის შესახებ. რუსულენოვან უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ჰქონდათ ძალიან

საინტერესო შეთავაზება უფასო საერთო საცხოვრებელი და უფასო მონაწილეობა სასწავლო პროცესში, დაწესებულებამ ვერ დაუშვა, რომ ასეთი კარგი შემოთავაზება ხელიდან გაეშვათ, მათვე გამოაგზავნეს თავისი პერსონალი, უბრალოდ ბოლო პერიოდში მოახლოებული პანდემიის გამო ჩაიშალა ეს ყველაფერი და მათივე ხარჯებით უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სამზადისი ენობრივი ბარიერის დაძლევისა.

მისი თქმით, უნივერსიტეტში სწავლობს თითქმის 90%-ზე მეტი ადგილობრივი სტუდენტი, ასევე ჰყავთ 30 უცხოელი სტუდენტი ჰერეთიდან და ჰყავთ სტუდენტები, მარნეულიდან, წალკიდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ სამართალს აქვს დარგობრივი მახასიათებელი და დადგენილი სტანდარტი იძლევა ბევრ მიმართულებას, თუ როგორ უნდა გაიწეროს პროგრამის ესა თუ ის სასწავლო კურსი, რაც შეეხება „დემოკრატიასა და მოქალაქეობას“ სახელწოდება შესაძლებელია კარგად ჟღერდეს, მაგრამ რეკომენდაციას ორი საფუძველი აქვს, ერთი მათგანი არის მიზნები, რომლებიც მათთან არსებული სილაბუსიდან ამოიკითხეს, ერთ-ერთი მიზანია; „სტუდენტები გამოიმუშავებენ აზროვნების ხერხებს საბაზისო სამოქალაქო უნარებსა და განწყობა დამოკიდებულებებს, რაც ხელს შეუწყობს მათ ინფორმირებულ და პასუხისმგებლობით აღჭურვილ წევრებად ჩამოყალიბებას“, სამართლის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით მსგავსი მიზნის მიმღწევი ის შინაარსობრივი მოცემულობა, რომელიც შემდეგ თითოეულ კვირასთან მიმართებით ვლინდება შესაძლებელია, რომ დამატებით საგნად არ იქნას შეთავაზებული, რადგან კურსის მიზნებში გაწერილია, რომ „მართვა გამგეობა და სახელმწიფოს საჭიროების შესახებ“ სათაურიც გაუმართავია, „კონსტიტუცია და სახელმწიფო“, „ადგილობრივი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა“, თვითონ დარგობრივი ითვალისწინებს, რომ სავალდებულო კურსებში ეს ნაწილები ყველა მიმართულებით უკვე ათვისებულია და ეს ორი მოცემულობა თვითონ სასწავლო კურსის შინაარსობრივი ელემენტები თემების კუთხით და მიზანში უკეთ ჩანს ინსტიტუციის მიმართება რეკომენდირებულია რომ არ იყოს რეგულირებადი პროფესიის მიმართ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტები შეხვდნენ სტუდენტებს, მათთან მოხდა გასაუბრება, ყველა მიმართულებით დაუსვეს კითხვები, რომელთა ნაწილი შესაძლებელია დასკვნაში არ აისახა და არც უნდა ასახულიყო. სტუდენტებთან გასაუბრების მთავარი პრინციპი, სტუდენტთა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩევის შემთხვევაში, თუ ისეთი სტუდენტი აღმოჩნდა, რომელიც აშკარად უარყოფითადაა განწყობილი უნივერსიტეტისადმი, თუმცა მას ასეთი შემთხვევა არ ჰქონია, ძირითადად მათი კმაყოფილება გამოიხატებოდა ინსტიტუციის იმ ე.წ. მატერიალური მხარდაჭერით, რომელიც მას ნამდვილად აქვს, ვერსად გაქრება და დადებითად აისახება მასზე, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შინაარსობრივად და თემატურად იჩენდა თავს.

ექსპერტმა, მარიამ ხუროშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტებთან შეხვედრისას ისაუბრეს გარკვეულ საკითხებზე, სტუდენტების უმრავლესობა იყო ქართველი, თუმცა იყვნენ არაქართველი სტუდენტებიც, ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ ჰკითხა მათ, რომ თუკი ისინი სხვაგან ცხოვრობდნენ რაში გამოიყენებდნენ აღნიშნულ პროგრამაზე მიღებულ ცოდნას, როდესაც თავის ქვეყანაში დაბრუნდებოდნენ, რაზეც ერთგვაროვანი პასუხი ვერ მოისმინეს, თუმცა სტუდენტები კმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ უნივერსიტეტი ახდენდა მათ მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას და წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ის სტუდენტები, რომლებიც არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები შეუძლიათ იცხოვრონ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და უნივერსიტეტი მათ საცხოვრებლით უზრუნველყოფს, სწორედ ამ ფაქტორით ნამდვილად იყო სტუდენტთა კმაყოფილება, თუმცა ზემოაღნიშნულ კითხვაზე ვიზიტის დროს პასუხი ვერ მოისმინეს.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ განაცხადა, რომ ძალიან ბევრი სტუდენტი ჰერეთიდან, რომლებიც ახლა აზერბაიჯანის მოქალაქეა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როდესაც იუმჯობესებს ქართული ენის ცოდნის დონეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზეც კარგად იციან, ჩამოდიან საქართველოში და აქ საქმდებიან, არის ასეთი მაგალითები მათი კურსდამთავრებულებისგან.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილიმა განაცხადა, რომ ხედავს უნივერსიტეტისგან გამოთქმულ მზაობას რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, ერთი მხრივ საბჭოს, მეორე მხრივ ექსპერტებს და მესამე მხრივ დაწესებულებას, ყველას საერთო მიზანი აქვს, განავითარონ განათლების ხარისხი. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად აქვს უნივერსიტეტს შესაბამისი ადამიანური და სხვა რესურსები რეგიონიდან და ყველაფრიდან გამომდინარე, რომ შეძლოს შესაბამისი საბაკალავრო სწავლება იმ შემთხვევაში თუ შეუძლია/შეძლებს აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ძალიან მარტივია პრერეკვიზიტების დაწერა, წინაპირობა თუ არ აქვს, ეს არის ყველაზე მარტივი, მაგრამ ასევე არის მთელი რიგი კონცეპტუალური საკითხები, რომლის გარეშე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ვერ იარსებებს და არ შეიძლება ამ ქვეყანაში იარსებობს, რადგან ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტებს

იმ მარტივი რაღაცების გარდა, მაგ., ორიენტირება კვლევაზე, აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა, ბევრია ასეთი. იგი დაინტერესდა მზაობა უნივერსიტეტის მიერ თუ არის ასეთი რთული, მარტივზე არ საუბრობს რადგან ერთ დღეში გაკეთდება, თუ აქვს დაწესებულებას მზაობა გაითვალისწინოს ყველა ის რეკომენდაცია, კონცეპტუალურად შეხედოს რა რეკომენდაცია არის გაცემული ექსპერტების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული კითხვის მიზნობრივი დანიშნულება, როგორც ცნობილია ექსპერტები ამოწმებენ არსებულ მდგომარეობას ანუ მოცემულ შემთხვევაში 9-10 წლის განმავლობაში განხორციელდა, ექსპერტებს დახვდათ ის, რაც 30-32 რეკომენდაციაში თითქმის ყველა სტანდარტთან მიმართებით წარადგინეს და აქაც შეფასება რეკომენდაციათა მიხედვით შესაძლებელია შედეგობრივად სხვაგვარად დალაგებულიყო, რაც შეეხება უნივერსიტეტის მზაობას, მას შეუძლია თქვას, რომ ადამიანის ხელიდან შეიძლება ყველაფერი გამოდიოდეს იმ შეზღუდული რაციონალობის დოქტრინიდან გამომდინარე, რაც მის ინტელექტს ხელეწიფება, შეუძლებელი არაფერია, მაგრამ სამომავლოდ რა იქნება ამის შეფასება რთულია არსებული მდგომარეობიდან, დამოკიდებულია ინსტიტუციაზე, რესურსებზე, მონდომებაზე და ა.შ. ექსპერტებმა კი შეაფასეს არსებული მდგომარეობა და ასახეს რეალობა რეკომენდაციებში

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თემურ ტუნაძემ აბსოლუტური გულწრფელობით გამოხატა მზაობა ყველა რეკომენდაციის გასათვალისწინებლად, დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა რეკომენდაციები, რომლებიც შეასრულეს, თუმცა არის რეკომენდაციები, რომლებიც გარკვეულ დროს, დაგეგმვასა და წინასწარ მომზადებას საჭიროებს, თუმცა არ არის შეუძლებელი რეკომენდაციები და მათი აკადემიური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით აბსოლუტურად შესაძლებელია 2 წლის ფარგლებში შეძლონ აღნიშნული რეკომენდაციების გამოსწორება და დასაწყისში კონკრეტული გეგმების შედგენა, თუ რა თანმიმდევრობით განახორციელებენ. ყველასთვის ცნობილია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომელშიც არაერთი კარგი და ოპტიმისტური ჩანაწერია, ზოგადად კი თუ საჭირო იქნება ეს ყველაფერი დაზუსტდეს, თუმცა აღნიშნული პროგრამა შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს, ასევე შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს, თავისი მეთოდებიდან და სხვა საკითხებიდან გამომდინარე შესაბამისობაშია ძირითად მოთხოვნებთან, რა თქმა უნდა იმ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რაც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა. მან განაცხადა მზაობა რეკომენდაციების შესასრულებლად, რასაც მომავალში საბჭოს წევრებიც დაინახავენ.

პრორექტორმა, ნაილა ჩელებაძემ განაცხადა, რომ ასეთი დაწვრილებითი განხილვა დიდიხანია არ მოუსმენია, მან მადლობა გადაუხადა საბჭოს თითოეულ წევრს. მისი თქმით, მისი ნაკლიც არის, რომ ბოლომდე ვერ აკონტროლა მოსამზადებელი პროცესი, მაგრამ მისთვის სტიმული იყო თითოეული გამოსვლა და ისეთი გაფრთხილება იყო მისთვის, რომ უკვე დაგეგმა შემდეგი დღეები - მზადდება საერთაშორისო ღონისძიება გერმანიის რამდენიმე უნივერსიტეტთან ერთად. მთავარი არის ადამიანური რესურსების პრობლემა, თვითონ, რამდენიმე მოხელეს ესაუბრა ნათესაური თუ მეგობრული კავშირებიდან გამომდინარე. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტამდე სამი საათი გზა არის, საათნახევარი ასვლა ლექციების ჩატარება და საათნახევარი წამოსვლა, უკლებლივ ყველა, ვინც დასაქმებულია სხვაგან უარს ამბობს, ამიტომ მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც თავი გაწირეს და ურთულეს პირობებში ამას აკეთებენ. მან განაცხადა, რომ კოლეგებს დიდი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ვერ გაატარებდა, თუმცა თვითონ მაქსიმალურად დაეხმარება მათ რეკომენდაციების შესრულებაში. საბოლოოდ კი ყველაფერი ფასდება შედეგით, მათი სტუდენტების დიდი ნაწილი 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა თსუ-ში და წარმატებით აგრძელებენ მუშაობას, თუ კი დღეს დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას ვერ გააგრძელებს, რამდენი პროცენტი ექნებათ იმედი, რომ აჭარას კიდევ გაეზრდება სპეციალისტები, მას ამის გარანტია ნამდვილად არ აქვს და, როგორც პირველი განხილვისას განაცხადა აჭარას/მთიან აჭარას რომ სჭირდება სპეციალისტი ასეთი დეფიციტი სხვაგან არ არის. მან მიმართა საბჭოს წევრებს და განუცხადა, რომ აბსოლუტურად ყველა ხედავს იმ გარდაუვალობას, რაც სჭირდება რეგიონს და სთხოვა მათ, რომ დახმარებოდნენ, თავის კოლეგებს გამოუცხადა საყვედური გარე დაკვირვების კონტაქტის მოშლის გამო, საბჭოს მადლობა გადაუხადა გვერდში დგომის მზაობისთვის.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ გარკვეულ შეზღუდვებს შეიცავდა „ონლაინ“ სწავლების დასაშვებობასთან დაკავშირებით, თუმცა ამ ეტაპზე მეტად აქტუალურია.

საბჭოს წევრმა შეახსენა დაწესებულებას, რომ გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. იგი დაინტერესდა ჯერ კიდევ პანდემიის პირობების გათვალისწინებით ხომ არ ჰქონიათ მცდელობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობები აქტიური გაეხადათ და „ონლაინ“ ფორმატით ჰქონოდათ თანამშრომლობა აღნიშნული უნივერსიტეტის აკადემიურ

პერსონალთან. აქვე განმარტა, რომ კითხვა დასვა, რადგან როდესაც საუბარია აკადემიური რესურსის მნიშვნელობაზე, ძალიან კარგად შეიძლება აღნიშნული რესურსის გამოყენება, იმის გათვალისწინებით, რომ მაღალმთიან აჭარაში გამოყენებულ იქნას დისტანციური სწავლების ფორმები და ამ მხრივ გააძლიერონ. საბჭოს წევრი დაინტერესდა ხომ არ ჰქონიათ მცდელობა და თუ არ ჰქონიათ რა იყო ამის მიზეზი.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, მზია შავაძემ განაცხადა, რომ გარკვეული სტაბილურობა „ონლაინ“ სწავლებასთან დაკავშირებით არ იყო, არავინ იცოდა როდის დაუბრუნდებოდა განათლების სისტემა „პირისპირ“ სწავლებას, ამიტომ ზემოაღნიშნული განხილვის თემად არ დასმულა და თუ გაგრძელდება „ონლაინ“ სწავლება აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ რჩევას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ია შალამბერიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის არსებობა რეგიონისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლეს განათლებას უფასოდ, მაინც არ არის ხელმისაწვდომი რეგიონის ბავშვებისათვის, მათ ჰქონდათ პრეცედენტი, როდესაც აჭარიდან ჩაირიცხა სტუდენტი თსუ-ში 100%-იანი გრანტით, მაგრამ მან ვერ შეძლო სწავლის მიღება და მობილობით გადავიდა ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, რაც ყოფით პრობლემებზეა დამოკიდებული, ის დღეს წარმატებული საჯარო მოხელეა და კარგი იქნება ასეთი პრეცედენტების გათვალიწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:50

დასრულების დრო: 18:38

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

1. სწავლის შედეგების შეფასების გამარტივების მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგები უნარების ნაწილშიც ჩამოაყალიბოს ბლუმის განახლებული ტაქსონომიით.

2 რეკომენდირებულია, უსდ-მ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშით გათვალისწინებული მონაცემები ასახოს სრულად (განსაკუთრებით კურსდამთავრებულთა ნაწილში), რათა გარე შემფასებლებლებს გააჩნდეთ სწორი ანალიზისა და სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა.

3 რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს არა მხოლოდ იმ სასწავლო კურსებს, რომლებითაც მიიღწევა პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი, არამედ იმასაც თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება);

4. რეკომენდირებულია უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენოს ის სასწავლო კურსები, რომლებითაც კურიკულუმის რუკის მიხედვით მოხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება;

5 რეკომენდირებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში ნათლად უნდა ასახოს, თუ რომელი დავალებით (ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, იმიტირებული პროცესი, პრაქტიკული დავალება, იურიდიული პრაქტიკისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ.), რა პერიოდულობით, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. სწავლის შედეგის შესაფასებლად უსდ-მ უნდა გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს სწავლის შედეგს;

6 რეკომენდირებულია პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უსდ-მ დაადგინოს სამიზნე ნიშნული, რომელიც უნდა ასახავდეს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს;

7 რეკომენირებულია უსდ-მ უზრუნველყოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება;

8 რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებდეს პროგრამის სპეციფიკას და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება განესაზღვროთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარებული აქვთ ინგლისური ენა.

9 სტუდენტის მიერ სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კომპეტენციების სრულად გამომუშავების მიზნით, რეკომენდირებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი ქართული სამართლის ისტორია (5 ECTS) გადატანილი იქნეს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების შემადგენლობაში, ხოლო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი „დემოკრატია და მოქალაქეობა“ ამოღებული იქნეს სასწავლო პროგრამიდან, ვინაიდან აღნიშნული სასწავლო კურსი არ არის რეკომენდირებული სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის;

10 რეკომენდირებულია, პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების/კომპონენტების დაშვების წინაპირობები სასწავლო კურსის სილაბუსების გარდა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც;

11 რეკომენდირებულია დაზუსტდეს სავალდებულო სასწავლო კურსების „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“-ს, „საკონსტიტუციო იუსტიციის“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს, „სამოქალაქო სამართლის პროცესი“-ს, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“-ს, „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“-ს, „შრომის სამართალი“-ს, „პროფესიული (იურიდიული) ეთიკის“ „საკორპორაციო სამართალი“-ს, „სამოქალაქო სამართლის პრაქტიკული კურსი“-ს დაშვების წინაპირობი ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად;

12 რეკომენდირებულია ასევე დაზუსტდეს არჩევითი სასწავლო კურსების: „მედია სამართალი“-ს, „სანოტარო სამართალი“-ს, „მიწის სამართალი“-ს „ეკოლოგიური სამართალი“-ს, „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“-ს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების“, „საბანკო სამართალი“-ს, „საკანონმდებლო ტექნიკის საფუძვლები“-ს, ასევე არჩევითი სასწავლო/კვლევითი კომპონენტის დაშვების წინაპირობები ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად;

13 რეკომენდირებულია სასწავლო კურსები „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“ და „სამოქალაქო სამართლის პროცესი“ საგანმანათლებლო პროგრამაში დალაგდეს ლოგიკურად და სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“-ს შესწავლას წინ უსწრებდეს სასწავლო კურსის „სამოქალაქო სამართლის პროცესი“-ს შესწავლა.

14 რეკომენდირებულია, უსდ-მ ცალკეულ სასწავლო კურსებში (მაგალითად, სასწავლო კურსები „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“, „საკონსტიტუციო იუსტიცია“, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“) საკონტაქტო საათების განაწილებისას გადახედოს სალექციო საათების სემესტრულ მოცულობას, სასწავლო კურსის სპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;

15 რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „საბანკო სამართლი“-ს სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი მეტად რელევანტური იქნება არა ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის, არამედ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის;

16 რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების „სამოქალაქო სამართლის პროცესი“-ს და „სამოქალაქო სამართალის პრაქტიკული კურსი“-ს სილაბუსები იმის გათვალისწინებით, რომ „სამოქალაქო სამართლის პროცესი“-ს სასწავლო კურსის სილაბუსით სრულად დაიფაროს სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები, ხოლო „სამოქალაქო სამართალის პრაქტიკული კურსი“-ს სილაბუსი უზრუნველყოფდეს სამოქალაქო სამართლის მიმართულებით სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და განმტკიცებას.

17 რეკომენდირებულია უსდ-მ გაითვალისწინოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნები და სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშაოს სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის ფორმატს, ფორმატის შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობას, პარტნიორი ორგანიზაციების ადამიანურ, მატერიალურ რესურსებსა და სხვ. ამასთან, ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა;

18 რეკომენდირებულია, უსდ-მ სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვოს მხოლოდ შუალედური შეფასების, მათ შორის შეფასების კომპონენტების, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მათი გადალახვის შემთხვევაში სტუდენტი ყოველგვარი დამატებითი პირობების, მათ შორის სალექციო მეცადინეობებზე დასწრების მაჩვენებელის გათვალისწინების გარეშე დაუშვას დასკვნით გამოცდაზე.

19 რეკომენდებულია, სტუდენტებს ჰქონდეთ უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა შუალედური და დასკვნითი გამოცდების შესახებ.

20 რეკომენდებულია, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად, უსდ-მ გაზარდოს კონკრეტული აქტივობები, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს უნივერსიტეტის ხელშეწყობით მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა პროექტებში.

21 რეკომენდებულია, უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ სხვა უსდ-ისა და სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება და აღნიშნულ პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა.

22 რეკომენდირებულია, აკადემიური პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტების რაოდენობასთან და პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი გაზარდოს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირებით;

23 რეკომენდირებულია, უსდ-ს მიერ დატვირთვა განაწილებულ იქნეს სასწავლო კურსთან მიმართებით, პერსონალის კვალიფიკაციის შესწავლისა და შესაბამისობის დადგენის შემდგომ.

24 რეკომენდირებულია, უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულ პირთა სავალდებულო ჩართულობა სამეცნიერო/კვლევითი თუ პროფესიული განვითარების მიზნით მიმართულ პროექტებში და უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა;

25 რეკომენდირებულია, უსდ-მ უზრუნველყოს პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება მაღალ-რეინტინგულ გამოცემებში და განახორციელოს პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ზედამხედველობა, ანალიზი და წახალისება;

26 რეკომენდირებულია, უსდ-ს მიერ გაძლიერდეს პერსონალის ინფორმირება საბიბლიოთეკო რესურსისა და სამეცნიერო ბაზების შესახებ; უსდ-ს მიერ მუდმივად მოხდეს პერსონალის მიერ სამეცნიერო ბაზების ფაქტობრივად გამოყენების ზედამხედველობა და კონტროლი;

27 რეკომენდირებულია, უსდ-ს მხრიდან პროგრამის ინტერნაციონალიზიციის მიზნით სავალდებულოა უზრუნველყოფილი იქნეს აქტივობები, რომელიც მოიცავს პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში პარტიონირ უნივერსტეტებთან (ევროპა, აშშ).

28 რეკომენდირებულია, უსდ-მ უზრუნველყოს პერსონალის საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის შექმნა;

29 რეკომენდირებულია, უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილ იქნეს საკანონმდებლო მაცნეს ავტორიზებული სერვისის გამოყენების უფლება;

30 რეკომენდირებულია, უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი სამეცნიერო ბაზების არსებობა საბიბლიოთეკო სივრცეში და მოხდეს პერსონალის ინფორმირება მათი გამოყენების წესის შესახებ;

31 რეკომენდირებულია, უსდ-მ შიდა ხარისხის შესაფასებლად გამოიყენოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, განახორციელოს პროგრამის სრული მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, მიღებული შედეგები გაანალიზოს და ანალიზის შედეგები გამოიყენოს პროგრამის გასავითარებლად;

32 რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გადაიხედოს და განისაზღვროს შეფასების მეთოდი, ფორმა და მისი მიმართება უშუალოდ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან.

33 რეკომენდირებულია, უსდ-მ თვითშეფასების ანგარიშში ასახოს წინა აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების შესრულებისკენ გადადგმული ნაბიჯები;

34 რეკომენდირებულია, უსდ-მ უზრუნველყოს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის უცხო პროგრამებთან დადარება და მიღებული შედეგების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის სამომავლო განვითრებისათვის.

რჩევები:

ა) სასურველი იქნებოდა უსდ-ს პროგრამის მიზნების შედგენისას უფრო მეტად გაეთვალისწინებინა საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალობა, შინაარსი და სპეციფიკა და უფრო კომპაქტურად გადმოეცა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. ამასთან, სასურველია პროგრამის მიზნები ასე დეტალურად არ იმეორებდეს სამართლის დარგობრივი მახასიათებლის დებულებებს და ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს;

ბ) საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, სასურველი იქნებოდა უსდ-ს, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავებისას შეესწავლა და გაეანალიზებინა უცხოური გამოცდილებაც.

გ) სასურველია სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უსდ-მ გაითვალისწინოს მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკაც, ასევე მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგები;

დ) სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებდეს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

ე) საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია 5-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების ფარგლებში მეტი ყურადღება დაეთმოს ინგლისურენოვან ლიტერატურით სწავლებას, მითუმეტეს, რომ სტუდენტებს ინგლისურ ენაზე არა აქვთ შეთავაზებული არცერთი სასწავლო კურსი;

ვ) სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის ანალიზის საფუძველზე, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის როგორც წიგნადი ფონდი, ასევე ელექტრონული სასწავლო რესურსები განახლდეს ან/და შეივსოს სასწავლო კურსების სწავლებისათვის რელევანტური თანამედროვე ან/და უახლესი გამოცემებით;

ზ) სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსი „ინფორმატიკა“ სასურველია სტუდენტს უვითარებდეს ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების უნარს.

თ) სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების შესაფასებლად სასურველია სასწავლო/კვლევითი კომპონენტი - რეფერატი არჩევითი კომპონენტებიდან გადატანილი იქნეს სავალდებულო კომპონენტებში, თუნდაც ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში (ფსიქოლოგიის საფუძვლები, ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი), ქართული ხელოვნების ისტორია (ზოგადი კურსი) საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი), ფილოსოფიის შესავალი);

ი) სასურველია, სასწავლო კურსის განმახორციელებელმა, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებითა და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, სასწავლო კურსის სილაბუსით უშუალოდ განსაზღვროს როგორც შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი 100 ქულიანი შეფასების ფარგლებში, ასევე შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და აღნიშნული საკითხი იმპერატიულად არ იყოს დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამით ყველა სასწავლო კურსთან/კომპონენტთან მიმართებით;

კ) სასურველია, სტუდენტებისთვის შეიქმნას კორპორაციული იმეილები და ვაკანსიების/სტაჟირებების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ კორპორაციული იმეილების მეშვეობით, ხოლო სოციალური ქსელი გამოყენებული იქნეს, როგორც სტუდენტებთან ურთიერთობის დამატებითი და არა ძირითადი საშუალება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აიპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

18:38 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ინასარიძემ.

18:42 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

4. მეოთხე საკითხი: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 11 დეკემბერი, გადაწყვეტილება N767
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	სამართალი 0421 Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	შატილის ქ. N4, ქ. თბილისი, 0178, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - გიორგი ღაღანიძემ და ეკატერინე ნაცვლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბოგვერაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ გაუცია რეკომენდაციები, ძირითადად რჩევები გასცეს, რადგან „სამართლის“ პროგრამები სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მოწმდება გარდა სტანდარტებთან შესაბამისობისა, აქედან გამომდინარე, პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის მინიმალურ მოთხოვნებსა და სამართლის დარგობრივ მახასიათებელს.

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა განსხვავებულია სხვა პროგრამებისგან, რადგან აქცენტირებულია სავალდებულო სასწავლო კურსებზე და არ გამოირჩევა არჩევითი სასწავლო კურსების სიმრავლით, როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა ძირითადად აღებულია ევროპული მოდელი, დასახელდა ბერნის უნივერსიტეტი, აქცენტირებაა სავალდებულო კურსებზე და არის არჩევითი კომპონენტი სამივე მოდულის სასწავლო კურსები, რაც არის პროგრამის ფარგლებში, კერძო, სისხლისა და საჯაროს სამართლის მიმართულებები, შესაბამისად აღნიშნული მოდულების ფარგლებში არსებობს არჩევითი კურსების არჩევის შესაძლებლობა სტუდენტებისათვის, ასევე არსებობს თავისუფალი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ დააგროვონ უნივერსიტეტში არსებული სხვა კომპონენტებიდანაც, ასევე არსებობს არჩევითობის შესაძლებლობა სავალდებულო საბაზისო კომპონენტის ფარგლებში, თუმცა როგორც აღინიშნა, ძირითადი აქცენტირება გაკეთებულია სავალდებულო კურსებზე. პროგრამაში შეიცვალა აქცენტირება, რაც არც არის გასაკვირი, რადგან შრომის ბაზრის გამოწვევაა სამართლის სფეროში, რომ აქცენტირება უნდა მოხდეს პრაქტიკული კომპონენტის განვითარებაზე, რადგან დამსაქმებლები უჩივიან სტუდენტების ამ უნარების ნაკლებობას. პროგრამის სილაბუსებში გაფართოვდა ჩაშენებული პრაქტიკული, რაც ნიშნავს, მაგ., კაზუსებზე მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობებს, იმიტირებულ პროცესებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამივე მოდულის კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის ფარგლებში პრაქტიკულად ბოლოსკენ, მეშვიდე სემესტრში არის სავალდებულო სამივე მიმართულებით, რომლებიც არის სრულიად პრაქტიკულ უნარზე ორიენტირებული, რაც ნიშნავს, რომ პრაქტიკულად შეჯამებას ახდენს სამივე სასწავლო კურსი იმ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შემოწმებასა და განმტკიცებაზე, რომლისკენაც მიმართულია მთელი სწავლება.

რჩევებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს არის ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი ხედვა პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არჩევით კომპონენტთან მიმართებით გასათვალისწინებელია ე.წ. აკადემიური თავისუფლებისა და ნებისმიერი უნივერსიტეტის თავისუფლების საკითხი, რომ თვითონ უნდა განსაზღვრონ ხედვა/დამოკიდებულება სტრუქტურირებასთან დაკავშირებით. რჩევა არის არჩევით კომპონენტთან დაკავშირებით, არა რაოდენობრივად არჩევითი საგნების გაზრდით, რომ ფორმალურად არ იყოს დატვირთული პროგრამა, რაც ზოგიერთ უნივერსიტეტს ახასიათებს და შედეგის მომტანი შეიძლება არც იყოს, არამედ საინტერესო რომ იყოს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, როგორც დამსაქმებელიც შეიძლება უყურებდეს ამ საკითხს, რომ სამართლის ბაზარზე არის გარკვეული სეგმენტები, სადაც არის კვალიფიციური იურისტების სიმცირე, ამ თვალსაზრისით შესაძლებელია საინტერესო იყოს და კვლევაც ჩატარდეს, ხომ არ შეიძლება არჩევითი კომპონენტის ფარგლებში შემოღებული იქნას ისეთი ვიწრო სპეციალობის საგნები, მაგ., სამედიცინო, სამშენებლო სამართალში, რომელიც შესაძლებელია ერთი მხრივ, საინტერესო იყოს სამართლის სტუდენტებისათვის, მათი დაინტერესების შემთხვევაში და მეორე მხრივ, მათი დასაქმების ხელშემწყობადაც ჩაითვალოს, ანუ შეავსოს ის დეფიციტი, რაც ბაზარზე არსებობს ამ მიმართულებით.

პროგრამა ასევე აქცენტირებულია ინგლისური ენის სწავლებაზე და გარკვეული კარგი პრაქტიკაც გამოვლინდა იმ სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, რადგან, მაგ., სტუდენტს, რომელიც დაადასტურებს, რომ B2 დონეზე ფლობს ინგლისურს მას აღარ უხდება ფორმალურად გაიაროს ინგლისური, მხოლოდ პროფესიულ ინგლისურს გაივლის და კრედიტებს დააგროვებს არჩევითი საგნების ხარჯზე. ამ თვალსაზრისით, რადგან ინგლისურის სწავლება აქცენტირებულია, კარგი იქნებოდა, ბოლო სემესტრებში სილაბუსები უფრო მეტად გამდიდრდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით და შესაძლებელია თემატიკაც გარკვეულ საგნებში უფრო მეტი მოცულობით იყოს, თუმცა ამ თვალსაზრისით, სარეკომენდაციოდ ვერ ჩათვალეს, რადგან მთავარია, რომ სასწავლო კურსი სწავლის შედეგებზე გადიოდეს და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსტრაკურიკულარულ აქტივობებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იურისტებისთვის პრაქტიკული უნარების განვითარება/განმტკიცებისთვის, უნივერსიტეტში ხორციელდება აღნიშნული აქტივობები, მათ შორის არის სტაჟირების პროგრამა, სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სტაჟირება გაიარონ მათი ინტერესების შესაბამისად, ეს არ არის პროგრამის ნაწილი, ეს არის კურიკულუმის გარე აქტივობა, იგივე არის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით, ასევე სტუდენტებს აქვთ სხვადასხვა იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა და დაფიქსირდა, რომ სტუდენტები იღებენ მონაწილეობას თუმცა რჩევა არის, რომ უნივერსიტეტმა გააფართოვოს ეს აქტივობები, ბაკალავრიატზე არ მოითხოვება სამართლის კლინიკის არსებობა, მაგრამ კარგი იქნება თუ იფიქრებს უნივერსიტეტი მის დანერგვაზე.
აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის სიმცირე ბოლო პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია გამოწვეული იყოს კორონავირუსის პანდემიით, თუმცა რჩევის მიხედვით სასურველია, განვითარდეს აღნიშნული აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

რექტორმა, დავით ჩერქეზიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური სამუშაოსთვის. მან განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა რომ კორონავირუსის პანდემია უარყოფითად შეეხო ყველას, მით უმეტეს უნივერსიტეტის არაერთ პროგრამას უწევდა რეაკრედიტაცია, მათ შორის სამართლის საბაკალავრო პროგრამასაც, ამ პერიოდში შეიქმნა ძალიან კარგი შესაძლებლობები უნივერისტეტისთვის საერთაშორისო კუთხით, მაგალითად: მათმა სტუდენტებმა შეძლეს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება, რაც სამართალში არ არის მარტივი საკითხი, რადგან თავსებადობის ნაწილში გაცილებით იოლია სხვა დარგებთან მიმართებით მსგავსი ტიპის პარტნიორობა, ისეთი დონის უნივერსიტეტები, როგორებიცაა იტალიის, ტუშას უნივერსიტეტი, ძალიან მნიშვნელოვანი პერსპექტივა გაჩნდა სტუდენტებისთვის, რაც არ არის მხოლოდ მემორანდუმის დონეზე, არის ორმაგი დიპლომის შესაძლებლობის საკითხი, ბაკალავრის დონეზე არის გაცვლითი პროგრამის შესაძლებლობა, მაგისტრატურის დონე კი ორმაგი დიპლომის, გარდა იმისა, რომ კონფერენციები უნივერსიტეტში ისეთი სიმრავლით ვეღარ განხორციელდა, როგორც ეს არა პანდემიის დროს იყო, თუმცა დისტანცური ფორმატით განხორციელდა, როგორც სტუდენტური, ასევე ჩვეულებრივი, კლასიკური ტიპის კონფერენცია, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სამართლის სტუდენტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა, რომ უნდა ესაუბრა ექსპერტის მიერ გამოთქმულ რჩევასა და რეკომენდაციებზე, ვიდრე კონკრეტულად პროცესზე.
რექტორმა, დავით ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ სწორედ რჩევასთან დაკავშირებით საუბრობდა, რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით, ასევე კურიკულუმის გარეთ აქტივობებზე, განსაკუთრებით სამეცნიერო ნაწილში, სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი რაც უფრო მაღალია უკეთესია და ეს რჩევა ნამდვილად გასათვალისწინებელია, მოქმედებს მექანიზმი რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი მოტივაცია აქტივობებში ჩართვისთვის და შესაბამისად ამ რჩევაზე საუბრობს, რომ რაც უფრო მეტ აქტივობაში იქნება სტუდენტი ეს უფრო გააძლიერებს მის უნარებს, რასაც დაწესებულება ითვალისწინებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ პროგრამაში სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილში, სადაც არის გაწერილი, გამოტანილი აქვთ ჩამონათვალი მეთოდების, მათ შორის ელექტრონული სწავლება და ელექტრონული

მასალებით სარგებლობა და აღნიშნული ორი მეთოდი „X“ სიმბოლოთი არ არის გამოყოფილი, პანდემიის პირობებში ყველა ინსტიტუცია იმყოფება დისტანციურ პირობებში, რაც აისახება ფორმატსა და მეთოდში, თუმცა არ არის ასახული პროგრამაში, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ მოხდა ასე.

მისი მეორე კითხვა ეხება სწავლის შედეგების შეფასების გეგმას, დანართების სახით, ახალი სტანდარტი, რაც მოთხოვნილია აბსოლუტურად ყველა აქვთ, მიზნებთან შესაბამისობა, სტატუსები, განმტკიცებითი და ა.შ. გზამკვლევი აქვთ განსაკუთრებით კარგად წარმოდგენილი, დოკუმენტის შემუშავების მექანიზმი, მაგრამ პროგრამაში არ აქვთ, აღნიშნული პროგრამა დიდიხანია არსებობს, 2012 წლიდან აკრედიტებულ რეჟიმში და აკადემიური მოსწრების ანალიზს ალბათ მანამდეც აკეთებდნენ სანამ ახალ სტანდარტზე გადავიდოდნენ და რაღაც ფორმით კონკრეტული ნიშნულები გამოიკვეთა თუ არა, მექანიზმში ყველაფერი კარგად არის გაწერილი, მაგრამ პროგრამაში არა.

განათლების დეპარტამენტის უფროსი, ქეთევან აფთარაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი აკეთებს აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომელიც გადანაწილებულია ფუნქციურად ფაკულტეტებზე გადანაწილებული, ხდება ყოველ სემესტრული მონაცემების ამოღება ელექტრონული ბაზიდან, რომელიც არის აბსოლუტურად განახლებული ელექტრონული სისტემა EEU-EL, იძლევა სტატისტიკური მონაცემების სხვადასხვა ფორმით ამოღების საშუალებას და ფაკულტეტი უზრუნველყოფს, რომ ხდება ყოველ სემესტრული შეფასებების ამოღება და აკადემიური მოსწრების მონიტორინგთან დაკავშირებით ანგარიშების გაკეთება, ასევე ცალკე აქვთ საგამოცდო ცენტრი, რომელიც დასკვნით შეფასებებთან დაკავშირებით აკეთებს სრულ ანალიზს მოცემულ საკითხებზე, ამ პროცესს აქვს სისტემური სახე და უნივერსიტეტი მუდმივად ახდენს ამ საკითხებზე რეაგირებას.

მან განაცხადა, რომ დაწესებულებას სპეციალურად შემუშავებული აქვს ელექტრონული სწავლების წესი, რომლის შემუშავებაც მაშინვე მოხდა, გარდა ამისა შეიქმნა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით ახდენს მუდმივ მხარდაჭერას სწავლების პროცესში, რომელიც გამოიხატება, როგორც ელექტრონული პლატფორმების Microsoft Teams, EEU-EL, საბიბლიოთეკო რესურსები და სხვა, მუშაობს ინსტრუქციების შემუშავებაზე და შემუშავებული აქვს არაერთი ინსტრუქცია, რომლებიც არის არა მხოლოდ ბეჭდური სახით, არამედ ვიდეოების სახითაც და მიეწოდება, როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებსა და ადმინისტრაციას, რადგან ადმინისტრაციაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში დისტანციურ მუშაობაზე იყო გადასული და ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელი იყო, რომ ეს ყველაფერი განხორციელებულიყო. მეორე მხრივ ტრენინგები, რომელიც ჩატარდა პლატფორმების გამოყენებასა და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, დაწესებულებას პროგრამების მიხედვით მოწვეული ჰყავდა ტრენერები, რომლებიც ამ საკითხებთან დაკავშირებით ახორციელებდნენ ტრენინგებს და დაწესებულებას ამ ეტაპზე უწყვეტი განათლების ცენტრის ფარგლებში დაგეგმილი აქვს ტრენინგი არა მხოლოდ სწავლების, არამედ დისტანციური შეფასების მეთოდებზეც. გარკვეულ ადაპტირებას ითვალისწინებდა სწავლების დისტანციური ფორმა და ხარისხები მუდმივად განიხილავდნენ ამ საკითხს.

დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით ორჯერ ჩატარდა კმაყოფილების კვლევა, სადაც ზომავენ/აფასებენ რა შედეგები იყო და როგორ გამოსწორდა.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, მან განაცხადა, რომ პროგრამა არის საკმაოდ კარგად გააზრებული და გონივრულად შედგენილი, თანმიმდევრობა კარგად არის დალაგებული, მეორე მხრივ, ექსპერტების დასკვნაში მისი მოსაზრებით, ზომიერად ის რჩევებია მოცემული, რომელიც ნამდვილად რჩევას განეკუთვნება, არის საკითხები, სადაც მინიმუმს უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამა და იმის ზევით უნივერსიტეტის გემოვნებაა, ექნება მრავალფეროვანი სასაწავლო კურსები, შედარებით ნაკლები არჩევანი თუ ა.შ., თუმცა ეს ყველაფერი კარგად არის წარმოჩენილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, რაც ძალიან კარგია.

საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ როგორც ამოიკითხა ბიბლიოთეკის დათვალიერება მოხდა დისტანციურად, ასევე არის რჩევა, სადაც ექსპერტები საბიბლიოთეკო სივრცის გაზრდასა და კომპიუტერული რესურსის გაზრდას ურჩევს, გარდა ამისა ლიტერატურის სამ-სამი ეგზემპლარია, რასაც ეთანხმება, თუმცა თუ ადგილზე არ იყვნენ ექსპერტები, როგორ მოხდა საბიბლიოთეკო რესურსების შესწავლა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბოგვერაძემ განაცხადა, რომ პანდემიის გამო ძალიან უხერხულია, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენელი ათვალიერებინებს „ონლაინ“, მიუხედავად იმისა, რომ „ლაივ“ რეჟიმში უკეთესია დათვალიერება, თუმცა „ონლაინ“ რეჟიმშიც არის შესაძლებელი, ბიბლიოთეკის ეკრანი გამოდის Zoom-ის ეკრანზე და ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ჩვეულებრივად შეემოწმებინათ რესურსები, წვდომის შესაძლებლობა და ა.შ. ეს არ არის ხოლმე პრობლემა, რაც შეეხება სივრცის გაფართოებას, ექსპერტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტი

აშენებს ახალ კამპუსს, რომელიც უფრო მეტად კეთილმოწყობილი იქნება და სტუდენტებსაც შესაბამისი სივრცე ექნებათ, აქედან გამომდინარე საბიბლიოთეკო სივრცეც, ლიტერატურის რაოდენობასთან დაკავშირებითაც რჩევის სახით იქნება.

ექსპერტმა, ქეთევან ჩეკურიშვილმა განაცხადა, რომ არა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერება, სხვა ვიზიტებზეც იგივე მდგომარეობაა, დაწესებულების წარმომადგენლებს ასევე ეკითხებიან რამდენი კომპიუტერი, რამდენი მაგიდა უდგათ, რომ ექსპერტებს წარმოდგენა შეექმნათ. უფრო უკეთ რომ შექმნოდათ წარმოდგენა საბჭოს წევრებს მან მოიყვანა მაგალითი, როდესაც ბიბლიოთეკა გაუხსნეს ექსპერტებს მათ ჩაწერეს მაგ., ავტორი, წიგნის დასახელება და გამოჩნდა მინიშნება თუ რამდენი ეგზემპლარი ინახება წიგნის ფონდში.

საბჭოს თავმჯდომარემ ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წარდგენილია 2020 წლის ბიუჯეტი, რომლის სამეცნიერო ნაწილშიც გაწერილია გარკვეული თანხა, მან დააზუსტა, თუ როგორია ხარჯვითი ნაწილის დინამიკა, რაც დაგეგმილია იხარჯება, თუ გადადის შემდეგ წელზე.

მისი შემდეგი კითხვა უკავშირდება შრომის ბაზრის ანალიზის შესახებ დოკუმენტაციას, სადაც მითითებულია დინამიკა 2010-2017 წლების ჭრილში და წერია, რომ ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელია 2017 წლის ჩათვლით და დაწესებულება აკეთებს დაშვებას, რომ აქედან გამომდინარე, მომავალშიც იქნება მოთხოვნა, იგი დაინტერესდა, თუ რა იძლევა აღნიშნული დაშვების საფუძველს, მაშინ როდესაც ამავე დოკუმენტში წერია, რომ 150 პოტენციურ დამსაქმებელს გაუგზავნეს კითხვარი და მხოლოდ 38-მა მათგანმა შეავსო, ასევე დაინტერესდა კვლევის ვალიდურობის შესახებ

რექტორი, დავით ჩერქეზიშვილი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ 5 ეგზემპლარი თუა კარგია, მაგრამ უმჯობესია 7 იყოს და ა.შ. ეს ჩვეულებრივი ამბავია და უნივერსიტეტი მუდამ უნდა ცდილობდეს ამის განვითარებას. ახალ კამპუსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მარტში უნდა გახსნილიყო, თუმცა გადაიწია და გაიხსნება მაისის ბოლოს, სადაც არის სრულიად ახალი, მოდერნიზებული ბიბლიოთეკა, მოიცავს 170 კვადრატულ მეტრს, გათვლილია 90 სტუდენტზე, ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული რჩევა ლოგიკური იყო და ამიტომ არის უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული, რომ ახალ კამპუსში უნივერსიტეტი ყოფილიყო რაც შეიძლება წარმოსადეგი და მიაღწიეს კიდეც ამ მიზანს, რაც ნიშნავს, რომ ეგზემპლარების რაოდენობაც იზრდება.

სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს ინდივიდუალური პოლიტიკა სამეცნიერო კვლევების განვითარებასთან დაკავშირებით, მექანიზმები, რომლებიც არსებობს არის სხვადასხვაგვარი, ერთ-ერთი მათგანი გახლავთ საბონუსე სისტემა, ანუ აკადემიურ პერსონალს, რომელსაც კვლევითი საქმიანობის კუთხით უფიქსირდება ნებისმიერი ტიპის აქტივობა, მაგ., სტატიის, ნაშრომის, მონოგრფიის სახელმძღვანელოს და ა.შ. გამოქვეყნება, ან კონფერენციაში მონაწილეობა და სხვ. არის ბრძანების დანართი, რომელიც მოიცავს აქტივობას სამეცნიერო აქტივობის კუთხით და შეფასებულია, როგორც დატვირთვა და რა დატვირთვა დასჭირდებოდა საშუალოდ, მისადაგებული აქვს ტარიფი, 2018 წელს დაიწყეს ინტენსიურად, შეიმუშავეს ბრძანება, თუმცა ინფორმირება ნაკლები იყო აკადემიურ პერსონალში, რადგან წლის მეორე ნახევარი იყო და 2019-2020 წელს აქტიურად იმუშავეს და ახლაც გრძელდება პროცესი აკადემიურ პერსონალთან, რომ უკეთ გაერკვნენ ამ სარგებელში და 108 000 ლარია მთლიანი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გახარჯული ამ ბონუსური სისტემის საშუალებით, ამავე დროს ფინანსდება აკადემიური პერსონალის მიერ კონფერენციისას სტუდენტის ხელმძღვანელობაც კი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული კითხვა მომდინარეობდა პროგრამის ფინანსური მდგრადობიდან გამომდინარე, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი არის ფინანსური რესურსები.

რექტორმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტისთვის ცალკე მექანიზმია დაფინანსების წესი, საქმიანობის, ბონუს სისტემის, შიდა საგრანტო პროექტები და სხვა, მხოლოდ 2020 წელს საგრანტო პროექტების თანადაფინანსების კუთხით დაახლოებით 57 000 ლარი დააფინანსეს, თანადაფინანსების სახით წარდგენილ პროექტებს, სამეცნიერო კვლევითი კუთხით მხარდაჭერა მნიშვნელოვანია რექტორისათვის და შემთხვევითაც არ არის, რომ გუშინ მიიღეს წერილი ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციებიდან საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით მიიღეს თანხმობა, და აღნიშნული უნივერისტეტი იქნება ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის საბჭოს წევრი, ბიუჯეტისა და მხარდაჭერის კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თუ რა იხარჯება და რამდენი პროცენტია მთლიანი ბიუჯეტიდან კვლევითი ხარჯებისათვის.

ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით რექტორი დაეთანხმა, რომ მიდის დინამიკური პროცესი და ეყრდნობიან წარსულის გამოცდილებას, მაგრამ მათთვის არ არის მნიშვნელოვანი რა იყო გუშინ და რას ეუბნება მათ წარსულის გამოცდილება, მნიშვნელოვანია დაინტერესონ უფრო მეტი, გაუხსნან უფრო მეტი ახალი შესაძლებლობა არსებულ სტუდენტს ან აბიტურიენტს ვინც აპირებს სამართლის პროგრამაზე ჩაბარებას, გაჩნდეს მეტი ინტერესი და ამას

ზომავენ, რომ მათი აქტივობები, იგივე მარკეტინგული სამუშაოების კუთხით, რა შედეგი გამოიღო ეს არის მათი გაზომვის ერთ-ერთი საშუალება მოცემულობებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, ეკა ლუაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის როლი უნივერსიტეტში არის გაამართლონ სტუდენტების/დაინტერესებული პირების მოლოდინები, ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია შრომის ბაზრის ტენდენციების გარკვევა, ერთი არის პროგრამის შინაარსი, რომელიც შეიძლება ძალიან კარგად გამოიყურებოდეს თავისი რესურსით, მაგრამ რა სურს ბაზარს, რა ტენდენციებს ხედავენ, ამიტომ მნიშვნელოვანია ეს საკითხი სიღრმისეულად და მრავალ კომპონენტიანი მიდგომით იკვლიონ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მნიშვნელოვანია წლიდან წლამდე მაჩვენებელი, დაწესებულებამ 2017 წლის მონაცემები (სტატისტიკის ეროვნულ ბიუროში) და დაინახეს რომ არის მზარდი, ამას დაამატეს დამსაქმებლების გამოკითხვა, რომელსაც იყენებენ არა ვთქვათ დასაქმება როგორი იქნება ამის შესაფასებლად, არამედ დამსაქმებლებს აქტიურად ეკონტაქტებიან რათაა გაარკვიონ რა უნარებზე გაამახვილონ ყურადღება პროგრამის განახლებისას, როდესაც უნდა გაამართლონ მოლოდინები, რა თანამედროვე გამოწვევების წინაშე დაგანან და რა შეიძლება უნივერსიტეტმა საკუთარი პროგრამის ფარგლებში გააკეთოს, რათა უფრო მომზადებული შევიდეს პროფესიაში უკვე კურსდამთავრებული. კიდევ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რასაც დინამიკაში ეყრდნობიან, ეს არის გამოცხადებული ვაკანსიები, დაწესებულებამ შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტშიც ახსენა, რომ ძალიან მზარდია ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი: (1) თავად ვაკანსიები, სხვა პროფესიებისაგან განსხვავებით, სადაც ძირითადად მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს ითხოვენ, აქ გაცილებით უფრო ხშირ შემთხვევაში მისაღებია, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს ითხოვდნენ და ეს თვიდან თვემდე მზარდია, ერთ წლიან ჭრილში დაახლოებით 1200-მდე განცხადება ქვეყნდება და მინიმუმ 85, ამას დამატებული ძალიან მაღალია ახალი კომპანიების, ახალი სუბიექტების წარმოშობის დინამიკა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მას დასჭირდება ადამიანი, რომელიც სამართლებრივ საკითხებს მოუგვარებს, ამის შეჯერებით გადაწყვიტეს, რომ მზარდია.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ თვალი გადაავლო პროგრამას, რომელიც კარგად არის მომზადებული, განსაკუთრებულ ფორმებში აქვთ მომზადებული სილაბუსები გაკეთებული, თუმცა არასტანდარტულად, როგორც სხვაგან შეხვედრიათ. დაინტერესდა, ინფორმატიკა რაიმე სპეციალური დანიშნულების გამო ამოიღეს თუ სხვა რამეზე გაამახვილეს ყურადღება. ინფორმატიკაში ასევე ვერ შეამჩნია რაოდენობრივი შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულია, სტუდენტმა უნდა იცოდეს რაოდენობრივი შეფასება.

პროგრამის ხელმძღვანელი, მაკა კარტოზია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ სილაბუსის ავტორი უკეთ უპასუხებდა, მაგრამ იურისტს აღნიშნული სასწავლო კურსი ნაკლებად სჭირდებათ სასწავლო პროცესში, ანუ ისინი რისთვისაც ემზადებიან ძირითადად ის პრეზენტაციები, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია ისწავლონ Microsoft Word Document და Microsoft PowerPoint Presentation, რადგან ყოველი სასწავლო კურსი მთავრდება პრეზენტაციებით ამისთვისაც ემზადებიან, რომ ეს ცოდნა ჰქონდეთ.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ ინფორმატიკას აქვს ერთიანი, სტანდარტული მიდგომა, შეიძლება რაღაც მეტი იყოს, რაღაც ნაკლები, მაგრამ საერთოდ რომ არ იყოს ამაზე საუბარი არ არის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბოგვერაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუს პროცესში დააყენა საკითხი, თუ რა საჭიროა იურისტს საბაკალავრო საფეხურზე ჰქონდეს მაგ., აღნიშნული სასწავლო კურსი, რადგან ეს უნარების საშუალო განათლების საფეხურზე უნდა შეიძინოს სტუდენტმა, მაგრამ ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს, რადგან სხდომაზე დამსწრე პირებს, ყველას აქვს სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება და იციან, რომ ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს, განსაკუთრებით თუ სტუდენტები რეგიონებიდან არიან და კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება არ აქვთ, მათ ძალიან უჭირთ PowerPoint-ში პრეზენტაციის მომზადებასთან ადაპტირება და გარკვეული სტანდარტებით ხელშეკრულება დაწერონ და შესაბამისად იურიდიული დოკუმენტის შეადგინონ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ დაეთანხმა დაწესებულებას და აქცენტი საერთოდ არ გაუკეთებია Microsoft Excel Worksheet-ის პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან პრაქტიკულ საქმიანობაში ძალიან იშვიათად შეიძლება დასჭირდეთ Excel, იურისტები ნაკლებად იყენებენ აღნიშნულ პროგრამას და დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ძირითადი აქცენტი გადატანილია სტუდენტებისთვის სამუშაო პროცესში, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, რომ მოემზადონ იმ პროგრამული უნარ-ჩვევებისთვის, რაც მათ დასჭირდებათ სწავლის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ შეიძლება არ დასჭირდეს სტუდენტს, მაგრამ გამოეხმაურა ექსპერტის მიერ ნათქვამ ფრაზას: სკოლიდან ცუდად იცის სტუდენტმა და ამიტომ უწევთ

უნივერსიტეტში სწავლება, რაც მთლად მისაღები არ არის მისთვის. საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად სწორია მიდგომა სასწავლო პროგრამამ დრო დაუთმოს ისეთი საკითხების შესწავლას, რომელიც სკოლიდან უნდა იცოდეს სტუდენტმა. ერთია აუცილებელი საჭიროება, მაგრამ მეორე მხრივ დრო ფუჭად დაიკარგება ისეთი სტუდენტებისთვის, ვინს ეს საკითხები იცის. რატომ არ შეიძლება ასეთი საკითხების ექსტრაკურიკულარულად შესწავლა.

19:33 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ღაღანიძემ.

ექსპერტმა, ქეთევან ჩეკურიშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტი-ექსპერტის სტატუსით არის ექსპერტთა ჯგუფში. იგი დაეთანხმა, რომ როდესაც სტუდენტი აბარებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უნდა ფლობდეს ამ უნარ-ჩვევებს და რეალობა/მოცემულობა ისეთია, რომ ძალიან ბევრი სტუდენტი არ ფლობს, ახლაც კი, „ონლაინ“, დისტანციური სწავლებისას სტუდენტებს შეექმნათ პრობლემა და ვერ შედიან ლექციებზე ლეპტოპებით, ფიზიკურად არც აქვთ, განსაკუთრებით რაიონებში, ამიტომ შედიან ტელეფონებით.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა თავისი კითხვა, ზემოაღნიშნულის სწავლება ექსტრაკურიკულარულად სწავლებასთან დაკავშირებით. ბევრმა სტუდენტმა შეიძლება პროცენტის გამოთვლაც არ იცოდეს, ამიტომ არითმეტიკული საკითხების სწავლებას ხომ ვერ შევიტანთ საგანმანათლებლო პროგრამაში.

ექსპერტმა, ქეთევან ჩეკურიშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია თითოეული სტუდენტი ფლობდეს Microsoft Word Document-სა და Microsoft PowerPoint Presentation-ს, ამიტომ არის სავალდებულო და ექსპერტებმა არ ჩაწერეს არც რჩევაში და არც რეკომენდაციაში, რომ თითოეული სტუდენტი უნდა ფლობდეს ამას თუ სურთ სწავლის შედეგის მიღწევა, სწორედ ეს იყო მიზეზი რისთვისაც განიხილა თუ რა პირობებში უწევთ ცხოვრება სტუდენტებს სტუდენტობამდე. ექსპერტთა ჯგუფის წევრების მოსაზრებით სრულიად არ იყო უნივერსიტეტისგან დარღვევა.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, ზვიად როგავამ განაცხადა, რომ ეს გააკეთეს სამართლის დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, რადგან სამართლის დარგობრივ მახასიათებელში პირდაპირ წერია: „მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა ელექტრონული ბაზების ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით“, ეს იყო აღნიშნული საგნის შეთავაზების ძირითადი იდეა, რადგან სტუდენტებს უჭირთ ხოლმე ბაზებთან მუშაობა, რადგან საკმაოდ სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს, თუმცა ეს მისი ბრალია, რადგან საუნივერსიტეტო სილაბუსი იქნა გაგზავნილი და არა ის ადაპტირებული, რომელიც უშუალოდ სამართლის პროგრამაზეა მორგებული, რომელშიც საუბარია მათ ბაზებზე და მათ გამოყენებაზე, რაც სამართალს სჭირდება.

19:38 საბჭოს სხდომა დატოვა ეკატერინე ნაცვლიშვილმა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:38

დასრულების დრო: 19:54

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 19:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
ელიზბარაშვილი ელიზბარ